# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 8 ნოემბერი 2001 №214 (1487) | ფასი 50 თეთრი


# ბოლო გვწამს, ფიცი გვაკვირვებს

# 1:4

წუხელ ინგლისურ იორკში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩის პირველი ტაიმი ქართველებმა ინგლისელ თანატოლებს ირაკლი მოდებაძის თავური გოლით 1:0 მოუგეს. თუმცა ეს ანგარიში „ბუტემ კრეშენტის" ტაბლოს დიდხანს არ შერჩენია. მეორე ტაიმის დასაწყისშივე ჯინესმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, რასაც ხუთ წუთში ეშტონის გოლიც მოჰყვა. მერე კი ექვსწუთიან მონაკვეთში ესტონელმა არბიტრმა ორი თერთმეტმეტრიანი დანიშნა ჩვენების კარში და ინგლისმა 4:1 გაიმარჯვა.

წუხელვე, ნამატჩევს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელს გელა გომელაურს შევეხმიანეთ. ჩვენდა გასაკვირად, გომელაური უკმაყოფილო არ ჩანდა: „გაგიკვირდებათ, მაგრამ ბიჭებს საყვედურს ვერ ვეტყვი. — ცალკეულ ეპიზოდებში ჩინებულად გაისარჯნენ და ტაშიც არაერთხელ დაიმსახურეს. პირველი ტაიმი მოვიგეთ, ლამაზი ფლანგური გათამაშება მოდებაძემ გოლით დაასრულა. მეორე ნახევარში ჯერ ორი დასანანი გოლი გავუშვით და გუნდიც აირია, მერე კი... მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ურიგოდ არ გვითამაშია, მეტოქე უკეთაც იყო მომზადებული და კლასითაც გვჯობდა".

გომელაურმა ისიც თქვა, რომ არბიტრმა 72-ე წუთზე მასპინძლებს პენალტი აჩუქა.

მწვრთნელის ნათქვამი ალბათ გეცნოთ: ქართველთა ბევრი მარცხიანი უცხოური ვოიაჟისთვის დამახასიათებელი არგუმენტებია. კომენტარი, ვფიქრობთ, ზედმეტია, თუმცა, დაგვეთანხმებით, ზედმეტი არ არის ასეთ შემთხვევებში უპრიანი — ფიცი გვწამს...

# რად გინდათ ინილო-ბინილო, დანიშნეთ მსაჯები უწილოდ

## ნაწყენმა მსაჯებმა გორდას გამაფრთხილებელი აქცია მოუწყეს. ზენ რუფინენმა და ბუილიშვილმა ოპოზიციური ფრაქცია შექმნეს



[illegible] ფოტო

მიშელ ზენ რუფინენი ფიფას გენერალური მდივანია, ანატოლი მილჩენკო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე, თემურ ბუილიშვილი რუსთავის „გორდას" პრეზიდენტი.

გეხსომებათ, ამას წინათ ამ უკანასკნელმა სფფ-ს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე მსაჯთა დანიშვნის წესი დაუწუნა. ქართველ არბიტრთა კორუმპირებულობაზეც ხმამაღლა განაცხადა და მის მიერ მოწყობილმა ყბადაღებულმა ექსპერიმენტმა მსაჯი ალექსანდრე კრიჭაშვილი შეიწირა. რა გასაკვირია, ბუილიშვილმა ამით მილჩენკოს სამწყსოს წყრომა დაიტეხა თავს. ფედერაციაში გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე მსაჯებმა „გორდას" პრეზიდენტს იქით შეუტიეს — თუ ბრალდებებს არ დაამტკიცებს, სასამართლოში ვუჩივლებთ, რუსთაველთა მატჩებს კი საერთოდ არ მოვემსახურებითო.

და რა შუაშია აქ მიშელ ზენ რუფინენი? საქმე ისაა, რომ მსაჯთა დანიშვნის ქართული წესი — არბიტრების წილისყრით შერჩევა, თურმე არც ფიფაში მოსწონებიათ, რასაც სფფ-ში გამოგზავნილი ფიფას გენერალური მდივნის უსტარიც ადასტურებს — ამიერიდან ფედერაციის სამსაჯო სამსახურმა არბიტრები დანიშნოს და მათ საქციელზე პასუხისმგებელიც თავად იყოსო.

იხილეთ მეოთხე გვერდი



[illegible] ფოტო

ანატოლი მილჩენკომ და მისმა ამქარმა „გორდას" ყვითელი ამოუღო



მიშელ ზენ რუფინენი

# უცხოდ შეციებული გიორგი დემეტრაძე საფრანგეთში გაეშურება



გიორგი დემეტრაძე

ესპანური „სოსიედადის“ ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე ათი დღე ავადმყოფობდა და, ახლა, თითქმის გამოჯანმრთელდა. მას უცხო ვირუსი შეჰყრია და ამინდის ცვალებადობასთან ერთად სხეულის ტემპერატურა უთამაშებდა. გიორგის თავის ტკივილებიც აწუხებდა და, ცხადია, ეს პერიოდი უქმად გაატარა.

გუშინწინ კი დემეტრაძე წამოდგა, „სოსიედადთან“ ერთად ორჯერ ვარჯიშიც მოასწრო და გუშინ საფრანგეთს გაემგზავრა იქაურ „ბასტიასთან“ ამხანაგურად სათამაშოდ. ქართველ თავდამსხმელს სურდო ახლაც აწუხებს, თუმცა ექიმების თქმით, ეს არაფერია, დემეტრაძეს სრული დატვირთვით ვარჯიშიც შეუძლია და თამაში.

პრიმერადივიზიონის უახლოესი ტურის მატჩში, 12 ნოემბერს, სან-სებასტიანში „მალიორკას“ წინააღმდეგ გიორგის თამაში საეჭვოა. მით უმეტეს, რომ „სოსიედადის“ მწვრთნელი ჯონ ტოშაკი სხვა კოლეგათა მსგავსად მოგებულ შემადგენლობას არ ცვლის. „სოსიედადმა“ კი ბოლო ორი თამაში, შინ და სტუმრად მოიგო. თავად დემეტრაძეს „მალიორკასთან“ 18-კაციან განაცხადში მოხვედრის იმედი მაინც აქვს. „ბასტიასთან“ მატჩის წინ ტოშაკს ქართველი დაუმშვიდებია, დაგაკვირდები ფრანგებთან როგორ ითამაშებ და „მალიორკასთან“ შეხვედრისთვის ამას გავითვალისწინებო.

**კობა ინასარიძე**




ცხრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი

## ინგლისი 4:1 საქართველო

იორკი. ბუტემ კრეშენტი. 7 000 (ტევადობა 10 595). 7 ნოემბერი. 23.30 საათი

0:1 მოდებაძე (43), 1:1 ჯინესი (49), 2:1 ჩოპრა (53), 3:1, 4:1 ეშტონი (71პ, 74პ)

ინგლისი: გრანტი, პოუ, პილტონი, კლარკი, ჯონსონი, ჯინესი, ონილი, კუკი, ჩოპრა, მორგანი (ტომასი 68), ეშტონი.
მწვრთნელი: მარტინ ჰანტერი

საქართველო: ქრიკიშვილი, ქუხილავა, გუშარაშვილი, ციმაკურიძე, ლომიძე, მამფორია, ფეიქრიშვილი, დათუნაიშვილი, ელიავა (ქოქიაშვილი 65), სამხარაძე (იაშვილი 78), მოდებაძე (ებანოიძე 73).
მწვრთნელი: გელა გომელაური

### ინგლისი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბირმინგემი 0:1 ვესტ ბრომვიჩი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბერი 3:0: კარდიფი

### ნორვეგია

გადასასვლელი პლეი ოფი

ბრინი 3:0 ჰამ კამი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### სამხრეთ ამერიკა. XVII ტური

კოლუმბია 3:1 ჩილე

ეკვადორი 1:1 ურუგვაი

### ესპანეთი

II დივიზიონი. XIII ტური

ეიბარი 7:0 ლევანტე
ბურგოსი 1:3 უელვა
ოვიედო 0:0 ნუმანსია
ხიმნასტიკი 0:1 ალბასეტე
რასინგი 2:1 სპორტინგი
ხაენი 0:1 სალამანკა
ექსტრემადურა 0:4 ბადახოსი
ხერესი 3:1 მურსია
ატლეტიკო 4:0 ელჩე

თასის 1/32 ფინალი

კომპოსტელა 1:2 ალავესი
ფიგერესი 0:0 (დ.დ. 1:0) ბარსელონა
მარინო 1:4 დეპორტივო
გრამანეტი 1:2 ოსასუნა

### ფინეთი

გადასასვლელი პლეი ოფი

იარო 1:1 იოკერიტი

კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 7 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 107:78 შარლერუა
ეფესი 75:71 უნიკახა
ალბა 75:64 შლიონსკი

**C ჯგუფი**

პაო ორტეზი 87:90 ბუდუჩნოსტი
კრკა 82:81 პანათინაიკოსი
რეალი 87:82 სკიპერი

**D ჯგუფი**

პარტიზანი 81:76 ციბონა
აეკ 86:79 ოსტენდე

გერმანული „ფრაიბურგის“ ქართული სამეული, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და ალექსანდრე იაშვილი გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან, კლუბის კიდევ ორ ჩვენებურს კი ჯერაც არ უთქვამს თავისი სიტყვა. მეტიც, მათი ბუნდესლიგური დებიუტის მომლოდინედ ვართ.

გიორგი კიკნაძე ბუნდესლიგის წინა გათამაშებისას, საშუასეზონო პერიოდში ჩაირიცხა „ფრაიბურგში“, ზაზა ზამთარაძე კი ახალი სეზონისთვის.

კიკნაძის კარიერაში მანამდეც ყოფილა შემთხვევა, ჯანმრთელობა რომ უშლიდა ხელს — გიორგის ერთი პერიოდი მხედველობა ჰქონდა დაზიანებული, თუმცა ოპერაციის შემდეგ ეს პრობლემა მოეხსნა. მაგრამ რაღაც ფატალური უიღბლობის მაგვარი დასჩემდა, თურქულ „სამსუნსფორში“ გადასულს საქმეები ვერ აეწყო კარგად, მხოლოდ ერთხელ მოირგო ამ გუნდის მაისურა, მერე რაღაც გაუგებრობაც მოხდა, არა წმინდა სპორტული მიზეზით და გიორგის არ ათამაშებდნენ. შემდეგ ის ქუთაისის „ტორპედომ“ გამოისყიდა „სამსუნსფორიდან“ და „ფრაიბურგი“... და კვლავ უიღბლობა.

ზაზა ზამთარაძეს და გიორგი კიკნაძეს გუშინ ფრაიბურგში დავუკავშირდით.

# ფრაიბურგის ქართული ზამთრული

## კიკნაძე ზამთარს ელის, ზამთარაძე შანსს



ზაზა ზამთარაძე



გიორგი კიკნაძე

**ზაზა ზამთარაძე**

— მართალია, ძირითადში ჯერ ვერ ვხვდები, მაგრამ „ფრაიბურგის“ პირველ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ჩემს შანს ველოდები.

**— თამაში კი „ფრაიბურგის“ მეორე გუნდში გიწევს?**

— მასეა, „ფრაიბურგის“ მეორე გუნდში ვთამაშობ, რომელიც ობერლიგაში გამოდის და სადაც ყველა მატჩი ვითამაშე. მეშვიდე ადგილზე კი ვართ, მაგრამ პირველადგილოსან გუნდს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით. თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ კლუბის მიზნებში მაინცდამაინც არ შედის მეორე გუნდის რეგიონალლიგაში ალზევება. „ფრაიბურგის“ მეორე გუნდის მთავარი დანიშნულება ისაა, რომ ფეხბურთელები მოამზადოს პირველი გუნდისთვის, ვინც პირველ გუნდში ვერ ხვდება, იმათ სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ.

**— რა პოზიციაზე გიწევს თამაში?**

— მთელი მარჯვენა ფლანგის კონტროლი მევალება. მეორე გუნდი ზუსტად იგივე განლაგებითა და ტაქტიკით თამაშობს, როგორც პირველი. ფოლკერ ფინკე მეორე გუნდის ყველა მატჩს ესწრება, თუ ის ბუნდესლიგის ტურს არ ემთხვევა. მეორე გუნდის დამრიგებელი მისი თანაშემწე კარსტენ ნაისელია.

**— კმაყოფილი ხარ შენი თამაშით?**

— თავიდან გამიჭირდა, აკლიმატიზაცია იოლი არ ყოფილა. დიდი დატვირთვების და ბევრი სირბილის შემდეგ ბურთთან კონტაქტის თავი არ მქონდა, მაგრამ ახლა უკვე შევეგუე ყველაფერს. ფინკემ ერთ-ერთ ბუნდესლიგურ მატჩში, „ზანკტ პაულთან“ სათადარიგოებშიც შემიყვანა.

**— მარჯვენა ფლანგის კონტროლი „ფრაიბურგში“ ტობიას ვილის ევალება, რომელიც გერმანიის ეროვნული გუნდის კანდიდატია. როგორ შეაფასებდი შენს შანსს ამ ეტაპზე პირველ გუნდში მოსახვედრად?**

— ვილის გერმანელი ჟურნალისტები ძალიან აქებენ, ცაში აყავთ, თუმცა რუდი ფიოლერმა 10 ნოემბერს უკრაინასთან მატჩისთვის „ფრაიბურგიდან“ მხოლოდ სებასტიან კელი გამოიძახა. რაც შეეხება ჩემს შანსს, რახან მეორე გუნდში ვილის პოზიციაზე მათამაშებენ, ალბათ პირველ გუნდისთვისაც ამ ამპლუისთვის ვარ საჭირო. ფინკეც მეუბნება, მშვიდად იყავი, ყველაფერი კარგად იქნება, უბრალოდ შენს შანს უნდა დაელოდოო.

**გიორგი კიკნაძე**

— იანვარში, მოსამზადებელი პერიოდის დროს დამეწყო წელის საკმაოდ მწვავე ტკივილები. დიაგნოზი ასეთი დამისვეს — თიაქარი ხერხემალზე. ეს არის წამონაზარდი ძვალზე, რასაც ქართველი მედიკოსები დისკს უწოდებენ. ოპერაცია გავიკეთე და ვარჯიშის განახლების ნება ოთხი თვის შემდეგ დამრთეს.

**— ამის შემდეგ შეკრებაზე ახლდი გუნდს ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად, მაგრამ კვლავ შეგახსენა თავი ტკივილმა. ეს ოპერაციის რეციდივი იყო?**

— ოპერაცია მიკროსკოპით გამიკეთეს და მითხრეს, ხელმეორე ოპერაცია აღარ დაგჭირდებაო. ტკივილები ისეთი ძლიერი არაა, მაგრამ მაინც მაწუხებს, რაც კიდევ ერთი, ახალი წამონაზარდის ბრალი იყო. თუმცა ის ისეთი მცირე ზომის აღმოჩნდა, რომ ოპერაციის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა. ექიმმა თამაში და ვარჯიშიც ამიკრძალა და მკურნალობა დამინიშნა.

**— ესე იგი, მხოლოდ წამლებით განიკურნები.**

— პრეპარატების გარდა მასაჟები, ტალახი და ელექტროთერაპიაც დამინიშნეს — მკურნალობის მთელი კომპლექსი ახლა უკვე ინდივიდუალურად, მსუბუქად ვვარჯიშობ კიდეც. ექიმები მაიმედებენ, ზამთარში თუ არა, გაზაფხულიდან სრული დატვირთვით ივარჯიშებო.

**— ფინკე რას გეუბნება?**

— გუნდში ყველა მამხნევებს, მაგრამ ფოლკერ ფინკეს სიტყვას სულ სხვა ფასი აქვს. მთავარია, რომ მისგანაც ვგრძნობ დიდ მხარდაჭერას. ამიტომაცაა, აფორიაქებული რომ არ ვარ.

თვეში ერთხელ კომპიუტერზე ვესინჯები და ბოლო გამოკვლევამ აჩვენა, რომ მკურნალობა წარმატებით მიდის. ექიმებმა მითხრეს, ნუ დაგვაჩქარებ, სადაც ამდენი მოითმინე, ბოლომდე იმკურნალეო.

**დავით თაგართქილაძე**

# ვისი მუშტი მოხვდა დოგრაშვილს?

## გუჯაბიძემ ჩაარტყა, ჩაარტყა თუ არ დაარტყა?

### ჯაფარიძემ ჯარიმა გაინახევრა


პაატა დოგრაშვილი

**გუშინდელი** სადისციპლინო კომიტეტის სხდომის დასრულებას დისციპლინარები ნახევარ საათში ვარაუდობდნენ, თუმცა სხვაგვარად მოხდა, გასარკვევი საათნახევარშიც ვერ გაირკვა, მეტიც, ერთგვარი ფორმით სხდომამ მოგვიანებით ფეხბურთის ფედერაციის შენობაშიც გადაინაცვლა. ამის მიზეზი 27 ოქტომბერს „სიონი“ — „მერანის“ მატჩში მომხდარი ინციდენტი გახლდათ.

„ხუთი წუთის შემდეგ პაატა ბარნოვმა ითამაშა ჯიგრიანად, მოედნის ცენტრში იომა და ამბიძეს გადასცა ბურთი. გამოცდილმა ფეხბურთელმა სწორად შეაფასა სიტუაცია, სოსო დევიძეს საჯარიმოში წააქცევინა თავი და პენალტიც უნაკლოდ შეასრულა. სწორედ ამას მოჰყვა მერანელთა აღშფოთება, რომელთა ლიბერომაც თავში უთავაზა პაატა დოგრაშვილს“. „სარბიელი“. 30 ოქტომბერი.

პაატა დოგრაშვილი „სიონი“ — „მერანის“ არბიტრი გახლდათ, წესრიგის დამრღვევი ლიბერო კი ავჭალელი გოჩა გუჯაბიძე. გუჯაბიძეს გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მოუხდა თავის მართლება: „დოგრაშვილს ხელით არ შევხებივარ. არბიტრის გადაწყვეტილება უსამართლოდ მივიჩნიეთ, მაგრამ ჩვენი აღშფოთება მხოლოდ კამათით გამოიხატა. მხოლოდ ვეკამათებოდი დოგრაშვილს, ხელი რომ გამერტყა, ხომ გამაგდებდა მოედნიდან“.

საგულისხმოა ინციდენტთან დაკავშირებით თავად დოგრაშვილის მოსაზრება, რომელიც მოხსენებით ბარათში აქვს დაფიქსირებული: „არეულობისას თავში მომხვდა ხელი, მაგრამ ვერ დავინახე ვინ მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა“. ინციდენტი არც დანარჩენ მსაჯებს დაუნახავთ. მომხდარი მხოლოდ შეხვედრის ინსპექტორმა გია ძამუკაშვილმა, ჟურნალისტმა და გულშემატკივრებმა შენიშნეს.

დისციპლინარებმა გია ძამუკაშვილის მოხსენებითი ბარათის წაკითხვამდე მისი განცხადება გაგვაცნეს. გარკვეული პრინციპული მოსაზრების გამო არ ვესწრები სხდომას და გთხოვთ, გადაწყვეტილების მიღებისას ჩემს მოხსენებით ბარათს დაეყრდნოთო, იტყობინება ძამუკაშვილი. მის ბარათში კი ეწერა: „შეხვედრის 68-ე წუთზე დოგრაშვილმა სამართლიანად დანიშნა პენალტი „მერანის“ კარში, რამაც თბილისელთა აღშფოთება გამოიწვია და ფეხბურთელები მსაჯს მისცვივდნენ. ჩოჩქოლში „მერანის“ მეოთხე ნომერმა ზურგიდან თავში ჩაარტყა დოგრაშვილს“...

ამის მოსმენისას „მერანის“ ტექნიკური დირექტორი ანზორ მამალაძე წამოიჭრა ფეხზე, ტყუილია, გუჯაბიძეს ოთხნომრიანი მაისური არასდროს სცმია, ბოლნისში სამი ნომრით თამაშობდაო.

ამან დისციპლინარები ჩიხში შეიყვანა, არც მსაჯები არიან, არც ინსპექტორი, ფეხბურთელი კი აცხადებს, არ ჩამირტყამო და გადაწყვეტილება როგორი უნდა მიიღოთო.

ნახევარსაათიანი მსჯელობის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა სამკაციანი დელეგაცია გაეგზავნათ ძამუკაშვილთან, მისი მოსაზრება მოესმინათ და საბოლოო ვერდიქტი მომავალ სხდომაზე გამოეტანათ. საინიციატივო ჯგუფში სხდომის პასუხისმგებელ მდივან ზვიად დარასელთან ერთად რეზო ჩილაჩავა და ზურაბ პეტრიაშვილი შევიდნენ და ძამუკაშვილთან შეხვედრაზე ჟურნალისტებიც მიგვიწვიეს. ვიდრე ამ შეხვედრის დეტალებს გაგაცნობდეთ, იმ გადაწყვეტილებებზეც ვთქვათ, გუშინ რომ მიიღო სადისციპლინო კომიტეტმა.

შეფერხებით ჩატარდა „ბათუმი“ — „ლოკომოტივის“ კალენდარული მატჩი. იმ შეხვედრის მსაჯ-ინსპექტორთა განმარტებით, უამინდობის გამო (ძლიერი თავსხმა, ჭექა-ქუხილი), მეორე ტაიმში მატჩი 7 წუთით შეწყდა, ბოლოს კი, 86-ე წუთზე, საკუთარი გუნდის მარცხით გაგულისებულ ქომაგებს (იმ დროისთვის „ბათუმი“ 1:3-ს აგებდა) პლასტმასის სკამის ნატეხები და ქვები დაუშენიათ გვერდითი მსაჯისთვის. ამ მიზეზით თამაში ისევ შეწყდა და ორი წუთის შემდეგ გაგრძელდა.

მომხდარის განხილვისას დისციპლინართა პოზიცია არაერთგვაროვანი იყო. გოგი დემეტრაძე და ვერნი ალფაიძე „ბათუმის“ დასჯას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით და ფულადი ჯარიმით მოითხოვდნენ. ჰქონდათ კიდეც საამისო საფუძველი, რადგან ბოლოს გამართულ სხდომაზე „ბათუმის“ სტადიონის ხელმძღვანელობას დისციპლინარებმა საყვედური გამოუცხადეს იმავე „ლოკომოტივთან“ მატჩში სტადიონის მოუმზადებლობის გამო. დემეტრაძის და ალფაიძის მოსაზრებას დანარჩენებმა არ დაუჭირეს მხარი და თავისიც გაიტანეს. ზღვისპირელები 300 ლარით დაისაჯნენ და წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაციაც მიიღეს.

ანალოგიურად დაისაჯა „სიონიც“. არადა, ბოლნისში „დინამოსთან“ მატჩში მხოლოდ ერთი კენჭი გადავარდა მოედანზე და ისიც მაინცდამაინც გვერდით მსაჯს მოხვდა. „სიონის“ დასჯის თაობაზე დისციპლინარებს გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათ, სხდომას ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე რომ შემოესწრო. განაჩენის მოსმენისას მან თავისი უკმაყოფილება ვერ დაფარა: „არ უარვყოფ, რომ ეს ეპიზოდი მართლაც მოხდა მატჩის ბოლოს, მაგრამ ამის მიზეზი მსაჯის გაუმართლებელი მოქმედება გახლდათ. იმის ნაცვლად, კუთხური დაენიშნა ჩვენს სასარგებლოდ, სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო და თავისუფალი დარტყმის საშუალება მისცა სტუმრებს. ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია მსაჯები რომ სცოდავენ ჩვენს საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთ მატჩში სულაც სამჯერ არ დაგვინიშნეს პენალტი, მაგრამ რა აზრი აქვს ლაპარაკს, მაინც არაფერი იცვლება. ამაში ბრალი არ მიუძღვის ფედერაციას, მსაჯები ისევ და ისევ კლუბების გატუტუცებულნი არიან და ამას ბოლო უნდა მოეღოს.“

წასვლისას ჯაფარიძემ შეღავათი ითხოვა, „სიონისთვის“ სამასი ლარის გადახდა მეტისმეტია, იქნებ საჯარიმო თანხა გაგვინახევროთო და დისციპლინარებმაც დღემდე გაუგონარი გამონაკლისი დაუშვეს — ბოლნისელები 150 ლარით შეითხელებენ ჯიბეს.

პირველ ლიგაში „ცხინვალი“ — თსუ-ს მატჩის პირველი ტაიმის დამთავრებისას მსაჯობით უკმაყოფილო „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე და ამავე კლუბის გენერალური დირექტორ მალხაზ კაკაურიძე მოედანზე შეიჭრნენ და მსაჯებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. სხდომაზე მოწვეულმა კაკაურიძემ თავდაჯერებით განაცხადა, როგორ უნდა დაგვსაჯოთ, როცა თსუ-სთან არანაირი იურიდიული კავშირი არ გვაქვსო. სადისციპლინო კომიტეტსაც სხვა რა გზა ჰქონდა, „ცხინვალს“ მითითება მისცა საშინაო მატჩების უსაფრთხოების დარღვევისთვის, თსუ-ს ხელმძღვანელებს კი — გაფრთხილება.

21 ოქტომბერს „ბათუმმა“ ბოლო წამს შეძლო ზესტაფონში გოლის გატანა


გოჩა გუჯაბიძე: არ დამირტყამს!

და ანგარიშის გათანაბრება. იმ მატჩის მსაჯ-ინსპექტორთა განმარტებით, „მეტალურგის“ პრეზიდენტმა ნუგზარ მდივანმა თემიდელები გამოლანძღა. „ბრალდებულმა“ მდივანმა აღშფოთება ვერ დამალა: „რატომ არ არიან აქ მსაჯები, თვალს ვერ მისწორებენ. გულშემატკივრები ჩაქოლავდნენ, მე რომ არ გადამერჩინა, გინება კი არა, მადლობას მიხდიდნენ, თქვენი წყალობით გადარჩითო. ქომაგთა რისხვა კი სამართლიანი იყო. შეხვედრას ორი წუთი დაამატა კიკაჩეიშვილმა, „ბათუმმა“ კი მეოთხე დამატებულ წუთზე შეძლო გოლის გატანა.“ მდივანს ყველამ დაუჭირა მხარი, მაგრამ წესი წესიაო და „მსუბუქ ფორმებში“ მაინც გააფრთხილეს „მეტალურგის“ პრეზიდენტი.

ისე კი, ერთი რამ სათქმელია. ბოლო სხდომებს მსაჯები სისტემატურად არ ესწრებიან და მათ ნაცვლად სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წარმომადგენელს — ოთარ გუნთაძეს უწევს მოჩივან-მოპასუხის როლში ყოფნა. ეს კი მეტისმეტი ტვირთია გუნთაძისთვის და კარგი იქნება, თუ მსაჯებს შემდგომში მაინც მოიწვევენ სადისციპლინო სხდომაზე.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ლაზიკა“ — „დილას“ მატჩში მეტოქის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მოედნიდან გაძევებული ზუგდიდელი ვლადიმერ ლიპარტია გუშინ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 200 ლარით დაისაჯა.

ბოლოს კი სადისციპლინო კომიტეტის მეორე ნაწილზეც ვთქვათ, ფედერაციის შენობაში რომ გაგრძელდა. ძამუკაშვილთან შეხვედრაზე თავ-თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს ჩილაჩავამ და პეტრიაშვილმა. გავითვალისწინოთ, რომ გუჯაბიძე კარიერას მალე ამთავრებს და ერთი წლით რომ დავსაჯოთ, ფაქტობრივად, უსაქმოდ ვტოვებთ, იქნებ მსუბუქად წამოარტყა მსაჯს და რამდენიმე მატჩის გამოტოვება და ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია ვაკმაროთო, თქვეს მათ. ძამუკაშვილმა, როგორც გინდათ, ისე გადაწყვიტეთ, ეგ თქვენი საქმეა, მე კი ჩემს აზრზე ვრჩები — გუჯაბიძემ განზრახ ჩაარტყა უკნიდან თავში ხელი დოგრაშვილსო, ბოლოს ჟურნალისტებსაც გვთხოვეს აზრის გამოთქმა.

ჩვენი პოზიცია ასეთია — სადისციპლინო კომიტეტი ალტერნატიული გადაწყვეტილებით (დებულებით გუჯაბიძეს თორმეტთვიანი დისკვალიფიკაცია ეკუთვნის მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის) თავიდან ვერ აიცილებს წნორის „მილანის“ ხელმძღვანელთა რისხვას, რომლის ფეხბურთელი პაატა გამცემლიძეც ანალოგიური დარღვევისთვის დებულების შესაბამისად დასაჯეს. ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღებით შემდგომშიც გვარიანი პრობლემები შეხვდება სადისციპლინო კომიტეტს, რადგან პრეცედენტის დაშვების შემდეგ დებულების შესაბამისად ველარ იხელმძღვანელებს.

გოჩა გუჯაბიძის საკითხს სადისციპლინო კომიტეტი მომავალ ოთხშაბათს გაარჩევს.

**ბაატა ძვანტალიანი**


დაარტყა თუ არ დაარტყა, დისციპლინარები ერთ კვირაში გაარკვევენ

## საქართველოს ჩემპიონატი
პირველი წრე

### აღმოსავლეთი

მესამე ტურის გადადებული მატჩები: ოლიმპიკი — ჭაბუკიანი 1:0; ზოოვეტი — მრეტები 3:1; დინამო 3 — მაუდი 1:2

მეცხრამეტე ტურში გასამართი მატჩი: ჯავახი — მესხეთი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 12 | 10 | 1 | 1 | 31:7 | 31 |
| ალაზანი | 12 | 9 | 2 | 1 | 35:12 | 29 |
| ივერია | 12 | 8 | 2 | 2 | 33:16 | 26 |
| მაუდი | 12 | 8 | 2 | 2 | 17:7 | 26 |
| ზოოვეტი | 12 | 8 | 1 | 3 | 24:13 | 25 |
| ვარძია | 12 | 6 | 3 | 3 | 13:11 | 21 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 4 | 2 | 28:8 | 19 |
| აკადემია | 12 | 5 | 4 | 3 | 22:16 | 19 |
| ოლიმპიკი | 11 | 5 | 3 | 3 | 23:12 | 18 |
| ცხუმი | 12 | 5 | 3 | 4 | 20:11 | 18 |
| ჭაბუკიანი | 12 | 4 | 6 | 2 | 16:9 | 18 |
| ლიახვი | 12 | 5 | 1 | 6 | 18:23 | 16 |
| მესხეთი | 13 | 5 | 1 | 7 | 16:22 | 16 |
| გორდა 2 | 12 | 3 | 3 | 6 | 17:17 | 12 |
| თბილისი | 12 | 3 | 2 | 7 | 18:24 | 11 |
| კრწანისი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:27 | 11 |
| დინამო 3 | 12 | 2 | 4 | 6 | 15:24 | 10 |
| მერანი 3 | 12 | 2 | 1 | 9 | 8:33 | 7 |
| მრეტები | 12 | 0 | 3 | 9 | 13:29 | 3 |
| ჯავახი | 13 | 0 | 0 | 13 | 8:67 | 0 |

### დასავლეთი

მეთოთხმეტე ტური. სულორი — საპოვნელა 1:2; გურია 2 — სამეგრელო 5:2; მეტალურგი 2 — სოხუმი 0:3; ოკრიბა — ბათუმი 2 3:1; გზები — კოლხეთი 2 0:1; მალაროელი — სქური 3:2; ლუკა — საირმე 1:2; სალხინო — ჩიხურა 3:1; ზუგდიდი — მერცხალი და ეგრისი — ინტერი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 13 | 11 | 2 | 0 | 32:8 | 35 |
| სულორი | 14 | 11 | 0 | 3 | 39:17 | 33 |
| გურია 2 | 14 | 10 | 2 | 2 | 41:12 | 32 |
| ზუგდიდი | 13 | 10 | 2 | 1 | 25:7 | 32 |
| საპოვნელა | 14 | 9 | 3 | 2 | 43:16 | 30 |
| სალხინო | 14 | 9 | 0 | 5 | 23:18 | 27 |
| კოლხეთი 2 | 14 | 7 | 5 | 2 | 25:12 | 26 |
| მალაროელი | 14 | 7 | 1 | 6 | 29:23 | 22 |
| მეტალურგი 2 | 14 | 6 | 3 | 5 | 20:18 | 21 |
| საირმე | 14 | 6 | 2 | 6 | 14:12 | 20 |
| ინტერი | 13 | 6 | 1 | 6 | 18:15 | 19 |
| ეგრისი | 13 | 6 | 1 | 6 | 21:22 | 19 |
| სქური | 13 | 5 | 1 | 7 | 19:27 | 16 |
| გზები | 14 | 5 | 1 | 8 | 16:24 | 16 |
| სამეგრელო | 14 | 3 | 2 | 9 | 19:34 | 11 |
| სოხუმი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:29 | 9 |
| ლუკა | 14 | 3 | 0 | 11 | 12:44 | 9 |
| ბათუმი 2 | 14 | 2 | 2 | 10 | 8:26 | 8 |
| ჩიხურა | 14 | 2 | 1 | 11 | 10:36 | 7 |
| ოკრიბა | 13 | 1 | 0 | 12 | 6:33 | 3 |

# აფრიკელებმა ფედერაციას კალენდარი შეაცვლევინეს

**10 და 18 ნოემბერს** ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, შესაბამისად, საფრანგეთის „ა“ და სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრებებს უმასპინძლებს. სწორედ აფრიკელებთან გასამართი მატჩის დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურის შეხვედრა „ლოკომოტივი“ — „გურია“ უნდა ჩატარებულიყო. თუმცა, სფფ-მ რაგბის კავშირის ინტერესები გაითვალისწინა და ზემოხსენებული მატჩი ორი დღით ადრე, 16 ნოემბერს გადმოიტანა.

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები, გარდა „მეტალურგი“ — თსუ-სა, წინასწარ დათქმულ დროს, 13 ნოემბერს შედგება. „მეტალურგი“ — თსუ კი ერთი დღით გვიან, 14 ნოემბერს გაიმართება. საქმე ისაა, რომ ინგლისში გამგზავრებულ საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებში თსუ-ს ოთხი ფეხბურთელი ირიცხება და კლუბის ხელმძღვანელობამაც დებულებით გათვალისწინებული შეღავათი გამოიყენა. ამავე მიზეზით გადაიდო პირველი ლიგის მეთხუთმეტე ტურის „სამტრედია“ — თსუ.

**ბახა შალამბერიძე**

# მსაჯებმა გორდას ყვითელი ამოუღეს

## არბიტრებს წილი აღარ შეხვდებათ. მათ კომიტეტი დანიშნავს

**...თავიდან** თითქმის ყოველთვის მშვიდად იწყება ყველაფერი. სამსაჯო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო პრესკონფერენციაზე მიგვიწვევს, რაღაც სიახლეებზე ინფორმაციებს მოგვაწვდის, მერე ერთბაშად აფეთქდება, ემოციებს აჰყვება, დამხმარედ თანამშრომლებს აიყოლიებს და...

გუშინაც ასე იყო. სამსაჯო კომიტეტმა თავისი ახალი გადაწყვეტილება გვამცნო, მერე კი რუსთავის „გორდა“ და მისი პრეზიდენტი თემურ ბუილიშვილი გაიხსენეს და კომიტეტიც ალაპარაკდა. „მოსისხლე“ მტრების შერიგებას შევსწრებივარ, მაგრამ დღეს ასე ჩანს, სამსაჯო კომიტეტი და „გორდა“ როგორ უნდა მორიგდნენ, ვერ მივმხვდარვარ.

ვიდრე სამსაჯო კომიტეტის, „გორდასა“ და თემურ ბუილიშვილის საქმეს დავუბრუნდებოდეთ, იმ სიახლეზე ვთქვათ, სამსაჯოში რომ მოგვახსენეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ეს სიახლე ჟურნალისტებს არასდროს მოგვწონდა.

მას აქეთ, რაც სამსაჯო კომიტეტს ანატოლი მილჩენკო თავკაცობს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მსაჯები წილისყრის პრინციპით ინიშნებოდნენ. იმ პროცედურას მწვრთნელები, ხშირად კლუბის თავკაცებიც ესწრებოდნენ და არცთუ იშვიათად შეთანხმებულადაც მოქმედებდნენ.

ჩვენთვის მიუღებელი წილისყრის პრინციპში ის იყო, რომ მსაჯის შეცდომებზე, ჩაგდებულ თამაშზე პასუხისმგებლობა თითქმის არავის ეკისრებოდა. დატრიალდა ლოტოტრონი, კონკრეტული არბიტრი მისაღები აღმოჩნდა მწვრთნელებისთვის. სამსაჯო კომიტეტმა ფედერაციის ხელმძღვანელობას წარუდგინა წილისყრის შედეგები. ჩინოსნებმა ბეჭედი დაჰკრეს და მორჩა. მიდი და ეძიე, შეცდომებზე ვინ აგებს პასუხს. ანატოლი მილჩენკომ კი გაიხუმრა, ყველას ცოდვას მე მაზღვევინებენო, მაგრამ...

ფიფაში შეუტყვიათ ქართული სამსაჯო კომიტეტის ინიციატივის შესახებ და გენერალურ მდივან მიშელ ზენრუფინენის ბეჭედდასმული წერილიც მიუღიათ ფედერაციაში.

„თქვენეული პრინციპი ძალიან დემოკრატიულია. მწვრთნელებს მსაჯებთან არაფერი ესაქმებათ. ყოველგვარი მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად თამაშებზე არბიტრები სამსაჯო კომიტეტმა უნდა დანიშნოს. ყველა მათ ქმედებაზეც კომიტეტმა აგოს პასუხი“. დაახლოებით ასეთი შინაარსისა გახლავთ ფიფადან მოსული მითითება. ამიერიდან


ოთარ გუნთაძე


ავთანდილ შალამბერიძე

სამსაჯო კომიტეტი დანიშნავს მსაჯებს, ხოლო ფედერაციის ხელმძღვანელობა დაამტკიცებს. პასუხისმგებლებიც მსაჯთა ყველა კარგ და ავ საქმეზე ისინი იქნებიან.

ანატოლი მილჩენკოს მაინც მიაჩნია, რომ გარკვეულ ეტაპზე წილისყრის პრინციპი მართებული იყო. საკამათო საკითხია, თუმცა წარსულისა ახლა რაღა ვიკითხოთ? მით უფრო, როცა ჩვენეული პოზიცია წილისყრის შესახებ ადრეც დაგვიფიქსირებია.

დამთავრდა ეს საკითხი და სამსაჯო კომიტეტის თავკაცის კაბინეტში ემოციებმაც იმძლავრა. „გორდა“! ამ კლუბის ხსენებაზე სამსაჯო კომიტეტში ვითარება იძაბება...

„კრიჭაშვილი შეცდა და თავისი მიიღო კიდეც. სამსაჯო კომიტეტი პასუხისმგებლობას არ გაურბის, შედეგზე რეაგირება უკვე მოვახდინეთ, ახლა მის გამომწვევ მიზეზებს ვეძებთ, მაგრამ „გორდა“ და მისი პრეზიდენტი ისევ ახალ ბრალდებებს გვიყენებენ. ის არ კმარა, რომ ლამის საექსპერიმენტო ცხოველებთან გაგვაიგივეს, ისევ კორუმპირებულებს გვიწოდებენ. თუ კიდევ ვინმე ცოდვიანი გვირევია, მობრძანდნენ, ხელი დაადონ და დაუსჯელი არ დარჩება. თუ არადა, ფედერაციას ჰყავს კვალიფიციური იურისტი და უსაფუძვლო ბრალდებებზე პასუხს მოვითხოვთ“. პრესკონფერენციაზე დამსწრე ყველა არბიტრი ერთ აზრზე იყო, აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა. ერთს ის აშფოთებს, რომ თურმე მსაჯებს ექსპერიმენტებისთვის იმეტებენ, მეორეს შელახული ავტორიტეტი აღარდებს, ყველა ჩვენგანს ეჭვის თვალით გვიყურებენ, სირცხვილისგან ახლობლებში ვერ გავრეულვართო. მესამეს ის აფიქრებს, ქომაგი მოედანზე რომ შემოგვეჭრას, რა გვეშველება, შეიძლება იძახის, თუ „გორდას“ ამდენი ფული აქვს, მაშინ მსაჯების კუთვნილი ადრინდელი ანაზღაურება გადაეხადაო.

თავისი პოზიცია დააფიქსირეს სფფ-ის ინსპექტორებმა, რომლებმაც მსაჯებს კეთილი სიტყვები არ დაამადლეს. ანატოლი მილჩენკოს თანაშემწე ოთარ გუნთაძის თქმით, თანამედროვე ფეხბურთში შეუმცდარი მსაჯი არ არსებობს: „მაჩვენეთ არბიტრი, რომელიც მატჩს იდეალურად, უშეცდომოდ განსჯის და სათქმელიც არაფერი მექნება“.

ბოლო სიტყვა მილჩენკოს კიდევ ერთმა თანაშემწემ, ავთანდილ შალამბერიძემ თქვა: „ან შეწყდეს უსამართლო ბრალდებები, ანაც სხვა გზა აღარ გვრჩება, რუსთავის „გორდას“ მიერ სტუმრად გასამართ მატჩებზე სამსაჯოდ აღარ წავალთ“.

პრესკონფერენცია, ალბათ, კიდევ გაგრძელდებოდა, მაგრამ კარი ადიკ დურსუნიშმა შემოაღო და... კახა მესხი ავარიაში დაშავებულაო. უხერხული სიჩუმე ისევ დურსუნიშმა დაარღვია. საშიში არაფერია, მესხი რამდენიმე ნაკერით „გადარჩა“ და ორიოდ კვირით დაგვაკლდებაო. ანატოლი მილჩენკომ ამოიოხრა, ნაკაიძე და გურგენიძე თერჯოლის გადასახვევთან გადარჩნენ, ახლა მესხი... ცხონებული ჯუმბერიც თამაშიდან შინ ბრუნდებოდა, ეს რა უბედურება გვჭირსო...

პრესკონფერენციიდან გამოსულს რატომღაც ერთი აზრი ამეკვიატა. თუ ვითარება კიდევ დაიძაბა და კომპრომისი ვერ გამოინახა, სამსაჯო კომიტეტისა და „გორდას“ დაპირისპირება სიკეთით არ დასრულდება. ძნელია გატეხილის გამთელება, მაგრამ ვითარება აშკარად განსამუხტია. მე არ ვაპირებ, რომელიმე მხარე ვამართლო ან გავამტყუნო. თავისი წილი პასუხისმგებლობა ორივე მხარემ იტვირთოს. თავისებურად მართალია „გორდა“, რომელსაც ხელში კოზირი უჭირავს, მაგრამ სიმართლის მარცვალი მსაჯთა მხარესაცაა, არ შეიძლება ყველას ერთ ქვაბში მოქცევა და საექსპერიმენტოდაც არ არიან გასაწირები.

თუ მსაჯები „გორდას“ საგარეო თამაშებს არ განსჯიან, არც რუსთავში გაემგზავრებიან, რა გამოვა აქედან? „გორდა“ იძულებული იქნება, რუსთავში ადგილობრივი მსაჯი გამონახოს, რომელსაც ფედერაციის თანხმობა უნდა. გასვლით მატჩზე კი იმ ქალაქის წარმომადგენელი იმსაჯებს, სადაც რუსთაველები იქნებიან სტუმრად. ეს პირველ რიგში „გორდას“ დააზარალებს.

**გამუჩა კგანტალიანი**


# რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით



თემურ ბუილიშვილი

# ბუილიშვილი მსაჯებს მშვიდობას პირდება

**მსაჯების** გუშინდელი პრესკონფერენციის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ „გორდას“ პრეზიდენტ თემურ ბუილიშვილს, რომელიც გაოცებული დარჩა არბიტრთა მოსაზრებით:

— რამდენიმე დღის წინ „სარბიელთან“ ინტერვიუში განვაცხადე, რომ ომს მოვრჩი. მსაჯებზე სიტყვის მთქმელი აღარ ვარ. მე ჩემი საქმე მაქვს და იმის კეთება მირჩევნია. მსაჯებს არანაირი პრობლემა არ ექნებათ „გორდასთან“. ჩამობრძანდნენ, მივიღებთ, პატიოსნად გააკეთონ თავისი საქმე და მშვიდობით გავამგზავრებთ უკან. როგორც გავიგე, დღეიდან მსაჯების კენჭისყრით დანიშვნა, რომელშიც გუნდების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, გაუქმდა. ჩემი სურვილიც ეს იყო, სწორედ ეს ვთხოვე მილჩენკოს, მსაჯები თავად ფედერაციას და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს დაემტკიცებინა მატჩებზე. რადგან ეს წესი დაკანონდა, არანაირი პრეტენზია აღარ მაქვს. ვიმეორებ, ომი არ მსურს და „გორდასაც“ და მსაჯებსაც საქმის სწორად კეთებას ვუსურვებ.

**ბაატა კგანტალიანი**



ფატიჰ თერიმი უკვე შინ არის

# რა აჭამა ანჩელოტიმ გალიანის?

**ფატიჰ თერიმი** ბოლოს და ბოლოს „მილანის“ მწვრთნელი იყო, „ჩიტადელასი“ ან „კრემონეზესი“ ხომ არა. შესაბამისად, თურქის მოხსნას და კარლო ანჩელოტის დანიშვნას გვარიანი გამოხმაურება მოჰყვა. იტალიური პრესის კომენტარებს ჩვენც გავეცნოთ.

„ლა რეპუბლიკა“: „თერიმს ერთი კვირის წინ ჰქონდა ჩემოდანი ჩალაგებული და ადრიანო გალიანის სიტყვას ელოდა. „ტორინოსთან“ მარცხი უბრალოდ, საბაბი გახდა თერიმის მოხსნისა, ნამდვილი მიზეზი კი ისაა, რომ კარლო ანჩელოტი დღე-დღეზე აპირებდა „პარმასთან“ კონტრაქტის გაფორმებას, რასაც „მილანი“ ვერ დაუშვებდა. თერიმის ბედი ანჩელოტისა და გალიანის სადილობისას გადაწყდა, როცა ვიცე-პრეზიდენტმა ანჩელოტი დაიყოლია, თურქს კი სტამბოლში დაურეკა და უთხრა: „შენ მოხსნილი ხარ“.

„ლა სტამპა“: „ტორინოსთან“ მარცხის ამბავი სილვიო ბერლუსკონიმ ლონდონში, ტონი ბლერთან სტუმრობისას შეიტყო. მას უბრალოდ სხვა გზა აღარ ჰქონდა, რაკი ბოლო ორ მატჩში, არცთუ ძლიერ მეტოქეებთან, მისი გუნდი გოლის გატანას ვერ ახერხებს“.

„ლა სტამპაშივე“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ფილიპო ინძაგისთან, რომელშიც „მილანის“ ფორვარდი ამბობს: „ძალიან მწყდება გული, რომ ჯოხი თერიმზე გადატყდა. მე მას ყოველთვის უდიდეს პატივს ვცემდი, როგორც ადამიანს და პროფესიონალს. რაც შეეხება კარლო ანჩელოტის, მას „იუვენტუსიდან“ ვიცნობ. ვნახოთ, როგორ აეწყობა ჩვენი ურთიერთობა „მილანში“.

„კორიერე დელა სერა“ კი ადრიანო გალიანის ინტერვიუს აქვეყნებს: „გადაწყვეტილება თერიმის მოხსნის შესახებ მე მივიღე და ეს იოლი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ამგვარი საკითხების მოგვარება მთლიანად მე მომანდო, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. მთელი წინა ღამე არ მიძინია, ვფიქრობდი და ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ის არის, რომ მწვრთნელის შეცვლა გუნდის სასიკეთოდ მოხდა. სამწუხაროდ, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ „მილანი“ ქაღალდზე უძლიერესი გუნდია, მაგრამ მინდორზე ამას ვერ ამტკიცებს. ამიტომ სხვა არაფერი დამრჩენოდა და სიმართლე გითხრათ, სინდისის ქენჯნასაც არ განვიცდი, ჩვენ თერიმს ყველაფერი შევუსრულეთ — შესაძლებელიც და შეუძლებელიც. უმითის ყიდვა მოგვთხოვა? ვიყიდეთ. როცა ხოსე მარი და მოჰამედ ალიუ დაიმტვრნენ, მარკო სიმინე მოინდომა და ისიც მოვიყვანეთ.

ანჩელოტის დიდი იმედი გვაქვს, მის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ „მილანისთვის“ ახალი კაცი არ იქნება, ჩვენი მიზანი კი სკუდეტოსა და უეფას თასის მოპოვებაა“.

**გიორგი დარჯანია**

# მამა ხარ, შენი ვალია!
## სერ ალექსმა, დავბერდიო

**„საზოგადოდ,** წარმატებულმა თამაშმა ანუ მოგებამ შეჩვევა იცის. ამით არც იღლები და არც გბეზრდება, მაგრამ ახლა ნამდვილად შემიძლია ვთქვა — დავიღალე. 28 წელია მწვრთნელი ვარ და ფეხბურთი ჩემს თვალწინ შეიცვალა. ის ახლა წარმოუდგენლად ძნელი თამაშია, თანაც ძალიან ლოგიკური გახდა, დაწოლა კი — უზარმაზარი. ამასთან შეჩვევა მეტად და მეტად მიჭირს“ — ალექს ფერგიუსონის ეს სიტყვები „მანჩესტერ იუნაიტედის“ ამ სეზონში მეექვსე წაგებას და გაშვებული გოლების გაუგონარ რაოდენობას დაემთხვა.

ეტყობა, მართლაც დაიღალა: „ლივერპულთან“ წაგებული მატჩისას ხშირად გვიჩვენებდნენ, თუ როგორ ილანძღებოდა სერ ალექსი, „არსენალთან“ 0:4 დამარცხება კი ლამის მსაჯს გადააბრალა. თუმცა, რალა ეტყობა — კაცი ამას თავად აღიარებს.



ალექს ფერგიუსონის გულჩვილობამ რაიან გიგზი გააოცა

„31 დეკემბერს 60 წლის ვხდები და, ალბათ, უკვე უნდა ვკითხო თავს, კიდევ რამდენ ხანს გავატან. ძალიან ბევრი რამეა, რისი გაკეთებაც მსურს და ამას დიდი დრო და ენერგია სჭირდება“ — ამბობს ღვაწლმოსილი მწვრთნელი და დარდობს: „სამივე ბიჭი ისე დაიზარდა, წესიერი მამობა ვერ გავუწიე. მარკი, დარენი და ჯეისონი უფრო როგორც ძმაკაცს მიყურებენ, ვიდრე მზრუნველ მამას“.

ამიტომაც ფერგი, როგორც მას უწოდებენ, აღარ გადათქვამს თავის სიტყვას და სეზონის ბოლოს მწვრთნელობას შეეშვება. ეს მისმა შეგირდებმაც მშვენივრად იციან, თუმცა ბოსის ამ გამონათქვამმა ბევრი მათგანი მაინც გააოცა. მაგალითად, რაიან გიგზი.

„გამიკვირდა, როცა ალექსმა გრძნობებზე და სიბერეზე ილაპარაკა — ამბობს მთელი კარიერის მანძილზე მხოლოდ ფერგიუსონთან მოთამაშე უელსელი გარემარბი — ის არც ჩვენ გვაძლევდა ოდნავი სისუსტის გამოვლენის უფლებას და შესაბამისად, არც საკუთარ თავს. ალბათ, მართლაც დაიღალა. ხალხი ვერასოდეს წარმოიდგენს, რამდენს მუშაობს ეგ კაცი — ბავშვებიდან პირველ გუნდამდე ყველას თავს ევლება. მართლაც ფენომენალური დატვირთვა აქვს. სხვა კლუბებში მოზარდები საერთოდ ვერ ხედავენ მთავარი გუნდის მწვრთნელს, ფერგიუსონი კი 14-საათიანი სამუშაო დღის ნაწილს სწორედ მათთან ატარებს. ყველაფერი, რასაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ წარმოადგენს, მისი დამსახურებაა. ჩამოსაჯდომი დრო არათუ არ აქვს, საერთოდ არ იცის, რა არის ეს სიამოვნება“.



გიგზი მამაშვილურ პრობლემასაც გადაწვდა და მწვრთნელი დაამშვიდა: „მესმის, რომ შვილების გაზრდისთვის მას დიდი დრო არ ჰქონია, მაგრამ, სამაგიეროდ, ალექსმა სხვა შვილები დაზარდა — მე, ბექემი, სქოულზი და ძმები ნევილები. დიახ, მე მას სწორედ მამად მივიჩნევ. პატივს ვცემო, რომ ვთქვა, სისულელე იქნება — რაც ვარ, სწორედ მისი წყალობით“.

თავად 59 წლის შოტლანდიელი თავისი წარმატებული სამწვრთნელო კარიერის საიდუმლოს ვარჯიშებში ხედავს. „ფეხბურთელებს ყოველთვის თავისუფლებას და თვითგამოხატვის საშუალებას ვაძლევდი. „იუნაიტედში“ არცერთ მოთამაშეს არ ეშინია გააკეთოს ის, რაც უნდა, მთავარია, მათი განწყობა იყოს დადებითი და სჯეროდეთ, რომ მოედანზე ყველაფრის გაკეთება ძალუძთ“.

ძნელია არ დაეთანხმო. მიუხედავად „ემიუს“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობისა, ამ კლუბის თამაში ყოველთვის თვალწარმტაცია. რატომ?

„თამაში ისეთივე რთული და მშვენიერი უნდა იყოს, როგორც ცხოვრება. ეს ერთადერთი გზაა ხარისხის მისაღწევად და ხალხის გულის მოსაგებად“ — ამბობს სერ ალექს ფერგიუსონი.

**გიგა ძოწაძიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**თურქულმა** „იოზგათსფორმა“ მაკედონიის „სლოგას“ თავდამსხმელ არბენ ნუხიჯისთან კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, ნუხიჯი, რომელსაც მაკედონიის ნაკრებში სამი მატჩი გაუმართავს, თურქეთში სეზონის ბოლომდე დარჩება.

**ერაყელმა ფეხბურთელმა, 19 წლის მოჰამად რიდჰამ უარყო თავისი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ მან თითქმის მიაღწია შეთანხმებას იტალიურ „მილანთან“. რიდჰას თქმით, იგი „მილანის“ მიერ შეთავაზებული კონტრაქტის ვადით არაა კმაყოფილი და კარიერას რომელიმე თურქულ კლუბში გააგრძელებს. რიდჰამ შარშან აზიის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევ ციკლში კი ერაყის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 4 გოლი გაიტანა.**

**ფრანგული** „სედანის“ მწვრთნელი ალექს დიუპონი ყატარში გაფრინდა იქაური ფედერაციის მიწვევით. დიუპონს ყატარელთა ეროვნული გუნდის გაწვრთნა შესთავაზეს. თუ მას პირობები დააკმაყოფილებს და პოსტს ჩაიბარებს, კონტრაქტის სავარაუდო ვადა 4 წელი იქნება, აუცილებელი პირობა კი ყატარის ნაკრების 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გაყვანაა.

**იტალიური „ინტერის“ ცნობით, კლუბმა ყველა უფლება მოიპოვა ბრაზილიელ თავდამსხმელ ადრიანოზე. შეგახსენებთ, რომ ადრიანო „ინტერში“ აგვისტოში გადავიდა „ფლამინგოდან“, თუმც კლუბებს შორის შეთანხმების საფუძველზე „ფლამინგომაც“ შეინარჩუნა მოთამაშის გამოყენების შესაძლებლობა. ორშაბათს კი „ინტერმა“ გამოისყიდა ბრაზილიური კლუბის წილი და ადრიანოს სრულუფლებიანი მესაკუთრე შეიქნა.**

**ინგლისის** პირველი დივიზიონის „პორტსმუთისა“ და იაპონიის ნაკრების მეკარე იოშიკაცუ კავაგუჩის თავის ახალ კლუბში საკმაოდ კარგად მისდის საქმეები. იაპონელი „პორტსმუთში“ გასულ თვეში გადავიდა, მისი დებიუტი კი მხოლოდ შაბათს, „შეფილდთან“ მატჩში შედგა. მიუხედავად იმისა, რომ 26-ე წამზე გოლი გაუშვა, „პორტსმუთის“ მთავარი მწვრთნელი გრემ რიქსი იაპონელით მაინც კმაყოფილია. „ასეთი სწრაფი გოლი არასდროს გამიშვია, იმ მომენტში თავი საშინლად ვიგრძენი“ — თქვა მატჩის შემდეგ კავაგუჩიმ, თუმც საბოლოოდ მისთვისაც და მისი გუნდისთვისაც ყველაფერი კარგად დამთავრდა, „პორტსმუთმა“ სტუმრად 3:2 მოიგო.

**ისრაელის თელ ავივის „მაკაბის“ ყოფილმა მწვრთნელმა შლომო შარფმა თავის ყოფილ კლუბს საარბიტრაჟო სასამართლოში საქმე მოუგო — კლუბმა მას სასამართლო და სხვა ხარჯებისთვის 1,25 მილიონი შეკელი (1 დოლარი — 4.27 შეკელი) უნდა გადაუხადოს. შარფი კლუბის პრეზიდენტ ლონი გერცკოვიჩს იმაში ადანაშაულებდა, რომ როცა მან ავი ნიმნის კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა, პრეზიდენტმა იგი კლუბიდან დაითხოვა და განაცხადა, თითქოს შარფმა თავისივე გადაწყვეტილებით დატოვა კლუბი.**

**ინგლისური** „ნიუკასლის“ 35 წლის ნახევარმცველი რობერტ ლი, რომელსაც კლუბმა კონტრაქტი არ გაუგრძელა, „კაჭკაჭთა“ დატოვებას და „ვესტ ჰემში“ გადაბარგებას აპირებს, თუმცა „ნიუკასლს“ ვეტერანი ნახევარმცველის უფასოდ გაშვება არ უნდა და მის ნაცვლად 500 ათას გირვანქას ითხოვს. „ჩაქუჩების“ მთავარი მწვრთნელის, გლენ რედერის თქმით, კლუბი ფულს არ გადაიხდის, ლი „ვესტ ჰემში“ მხოლოდ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა. თავის მხრივ, „ნიუკასლს“ ვეტერანის შემცვლელად ვესტჰემელი ტრევორ სინკლერი შეუგულებია, რომლის საბაზრო ფასი 10 მილიონი გირვანქაა.

**ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ ამ სეზონში ჩვეულად ვერ თამაშობს და მხოლოდ მე-8 ადგილზე იმყოფება. თუმცა, კლუბის მწვრთნელის, ლუის ფერნანდესის და პრეზიდენტ ლორან პერპერის აზრით, მდგომარეობა არცთუ უიმედოა. „ოსერმა“ 0:2 წააგო „მეცთან“, „ლანსმა“ 0:0 ითამაშა „ბორდოსთან“, ჯერ კიდევ შეგვიძლია, ყველაფერი შევცვალოთ“ — ამბობს ფერნანდესი. „გუნდის თამაშში პროგრესი შეიმჩნევა, „ბორდოსთან“ მარცხის შემდეგ აშკარად მოვუმატეთ“ — ეს პრეზიდენტის აზრია. კლუბის ფეხბურთელები კი ასე ოპტიმისტურად არ არიან განწყობილნი, თუმცა არც უიმედოდ არიან. კლუბის მცველი ტატალ ელ კარკური პსჟ-ს პრობლემად იმას თვლის, რომ მის წინააღმდეგ ყველა ძალების სრული მობილიზებით თამაშობს. ყოფილი სენტეტიენელი ლიონელ პოტილიონი კი ამბობს, ჯერ არაფერი დაგვიკარგავს, საშობაოდ ქულების სოლიდური მარაგი გვექნებაო.**

**ინგლისურმა** „დერბი ქაუნთიმ“ სამმილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა ფრანგული „ბორდოს“ 26 წლის მარჯვენა მცველს, ფრანსუა გრენეს. ინგლისელთა მწვრთნელის, კოლინ ტოდის თქმით, გრენე ბრწყინვალე ფეხბურთელია, რომელსაც შეტევებში ჩართვაც მშვენივრად ეხერხება, ხოლო საფრანგეთის ნაკრებში მას მხოლოდ იმიტომ არ იწვევენ, რომ მის პოზიციაზე ლილიან ტურამი თამაშობს.

**ხორვატიის უძლიერესი კლუბის, ზაგრების „დინამოს“ მეკარე სტანისლავ ბეტინამ ბოლო ტურში „ვარტექსთან“ მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ თუ კარგ წინადადებას მიიღებს, აუცილებლად დატოვებს კლუბს. არცთუ დიდი ხნის წინ მისით „ბეშიქთაში“ იყო დაინტერესებული, თუმც ხორვატმა თურქეთში წასვლა არ ისურვა.**

**ინგლისის** მესამე დივიზიონის „კარლაილის“ მწვრთნელის, როდი კოლინზის თქმით, უელსის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ამჟამად კი ჰოლივუდის ვარსკვლავი ვინი ჯონსი რამდენიმე ამხანაგურ მატჩში ითამაშებს კლუბის შემადგენლობაში. ჯონსი, რომელიც გულშემატკივრებს უხეში თამაშით და ხანგრძლივი დისკვალიფიკაციებით ახსოვთ, 36 წლისაა. თავის დროზე იგი „ლიდსში“, „უიმბლდონსა“ და „ჩელსიში“ თამაშობდა, მერე კი ინგლისის მეორე დივიზიონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ წვრთნიდა. კოლინზს, რომელიც ვინი ჯონსის მეგობარია, იმედი აქვს, რომ ყოფილ ნახევარმცველს სეზონის ბოლომდე კონტრაქტსაც გაუფორმებს.

**გერმანული „ვერდერის“ 33 წლის ავსტრიელმა ნახევარმცველმა ანდრეას ჰერცოგმა განაცხადა, რომ თურქეთის ნაკრებთან საპლეიოფო შეხვედრების შემდეგ ბრემენში აღარ დაბრუნდება. არ მსურს, კარიერა სათადარიგოთა სკამზე დავასრულო“ — განაცხადა ჰერცოგმა. „ალპელ მარადონად“ წოდებულმა ჰერცოგმა სამშობლოში, კერძოდ, თავის ყოფილ კლუბ ვენის „რაპიდში“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა. „რაპიდის“ მწვრთნელის, ლოთარ მათეუსის თქმით, ჰერცოგი ამ კვირაში „რაპიდის“ პრეზიდენტს შეხვდება და სწორედ მაშინ გადაწყდება ყველაფერი.**


# იყიდება



ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა

ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე–5 სართული

**ტელ: 75 99 49**

# მთავარია ფესვები... ჟერარ ულიეს რწმენა, თემნა და ლივერპული



ჟერარ ულიე და ფილ ტომპსონი

*54 წლის ფრანგი ჟერარ ულიე „ლივერპულში" 1998 წლიდან მუშაობს და ამ სამ წელიწადში საშუალო გუნდი მონინავეებს გაუთანაბრა. დღეს „ლივერპული" ახალგაზრდული, საოცრად ორგანიზებული და ჟინიანია. მისი მთავარი ძალა გუნდურობაშია, რაც უმთავრესად მწვრთნელის მაღალ პროფესიონალიზმზე მიანიშნებს. წინა შაბათს „წითლებმა" კაცურად მოუგეს მრისხანე „მანჩესტერს", ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზეც ღირსეულად გავიდნენ და ეს ევროწარმატება ულიეს მიუძღვნეს, რომელიც გულის ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოდან რამდენიმე დღის წინ გაწერეს.*

*წინა სამშაბათს „დორტმუნდთან" ლიგის მატჩში გამარჯვების შემდეგ ფრანგმა თავის თანაშემწე ფილ ტომპსონს დაურეკა და უთხრა, ვამაყობ ჩვენი გუნდითო. ტომპსონი კი ამბობს: „ევროპაში გამოსვლას ულიე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. როცა შარშანდელი სეზონის დამთავრებისას გვკითხეს, რომელი ჯილდოა ყველაზე ფასეულიო, ბევრმა ფეხბურთელმა ინგლისის ლიგის თასი დაასახელა. ულიემ კი განაცხადა, რომ უეფას თასი მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია".*

*ასეთია ულიე. ჯერ გუნდი შექმნა და სერიოზულ ჯილდოებზე ახლაღა ალაპარაკდა. ახლა „წითლები" პრემიერლიგისა და ჩემპიონთა თასის მოგებაზე ოცნებობენ, თუმცა ულიეს აჩქარება არ სჩვევია. გთავაზობთ მისი ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც „ფრანს ფუტბოლის" ჟურნალისტმა ფრანსუა ვერდენემ ჩამოართვა გულის შეტევამდე ცოტა ხნით ადრე.*

**— ჩემპიონთა ლიგაში თექვსმეტწლიანი შესვენების მერე 11 სექტემბერს, „ბოავიშტასთან" მატჩით დაბრუნდით...**

| 1 | სელტიკი გლაზგო (1) | | 24.11 | 26.12 | 2:0 | 01.12 | 15.12 | 5:1 | 1:0 | 2:0 | 02.01 | 3:1 | 3:0 | 13 | 12 | 1 | 0 | 31:5 | 37 | 6 | 0 | 0 | 16:2 | 18 | 6 | 1 | 0 | 15:3 | 19 |
| 2 | გლაზგო რეინჯერსი გლაზგო (2) | 0:2 | | 0:0 | 2:0 | 2:2 | 2:0 | 22.12 | 3:1 | 08.12 | 3:0 | : | 29.12 | 13 | 9 | 3 | 1 | 31:9 | 30 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 | 5 | 1 | 0 | 19:4 | 16 |
| 3 | ლივინგსტონი (ლ) | 0:0 | 0:2 | | 2:2 | 1:0 | : | 2:0 | 29.12 | 2:1 | 01.12 | 22.12 | 15.12 | 13 | 6 | 5 | 2 | 19:11 | 23 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 12 |
| 4 | აბერდინი (7) | 22.12 | 0:3 | 02.01 | | : | 26.12 | 2:1 | 2:0 | 3:2 | : | 3:2 | 01.12 | 13 | 6 | 2 | 5 | 21:21 | 20 | 5 | 0 | 1 | 14:10 | 15 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 5 |
| 5 | ჰიბერნიანი ედინბურგი (3) | 1:4 | 26.12 | 24.11 | 2:0 | | 1:2 | 02.01 | 2:2 | 2:1 | 08.12 | 5:1 | 4:0 | 13 | 5 | 3 | 5 | 24:19 | 18 | 4 | 1 | 2 | 17:10 | 13 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| 6 | დანდი (6) | 0:4 | 01.12 | 1:0 | 1:4 | 2:1 | | 1:1 | 22.12 | 24.11 | 3:1 | 02.01 | 1:1 | 13 | 5 | 3 | 5 | 15:21 | 18 | 3 | 2 | 2 | 9:12 | 11 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| 7 | დანდი იუნაიტედი (11) | 29.12 | 1:6 | 08.12 | 15.12 | 3:1 | 2:2 | | 0:2 | 26.12 | 1:1 | : | : | 13 | 4 | 4 | 5 | 16:25 | 16 | 2 | 2 | 2 | 10:14 | 8 | 2 | 2 | 3 | 6:11 | 8 |
| 8 | კილმარნოკი (4) | 0:1 | 02.01 | 1:5 | 08.12 | 0:0 | 0:1 | 01.12 | | 1:0 | : | 26.12 | : | 13 | 4 | 3 | 6 | 13:18 | 15 | 2 | 1 | 3 | 4:8 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| 9 | ჰარტს ოვ მიდლოთიენი ედინბურგი (5) | : | 2:2 | 1:3 | 1:0 | 29.12 | : | 1:2 | 15.12 | | 22.12 | 01.12 | 3:0 | 13 | 4 | 1 | 8 | 16:20 | 13 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 10 | 1 | 0 | 6 | 5:12 | 3 |
| 10 | მოზერველი (8) | 1:2 | 15.12 | 0:0 | 24.11 | 1:3 | 29.12 | 0:0 | 2:2 | 2:0 | | 1:0 | 26.12 | 13 | 3 | 4 | 6 | 16:25 | 13 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 | 1 | 1 | 4 | 9:18 | 4 |
| 11 | დანფერმლაინ ატლეტიკი (9) | 08.12 | 1:4 | 1:2 | 29.12 | 15.12 | 1:0 | 24.11 | 0:2 | 0:1 | 5:2 | | 2:1 | 13 | 4 | 0 | 9 | 18:27 | 12 | 3 | 0 | 4 | 10:12 | 9 | 1 | 0 | 5 | 8:15 | 3 |
| 12 | სენტ ჯონსტონი პერთი (10) | 1:2 | 0:2 | 2:2 | 1:1 | 22.12 | 08.12 | 0:1 | 24.11 | 02.01 | 2:3 | 0:2 | | 13 | 0 | 3 | 10 | 9:28 | 3 | 0 | 2 | 5 | 6:13 | 2 | 0 | 1 | 5 | 3:15 | 1 |

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. 2001-02. XII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.11.01 | 00.30 | 097 | 3:1მალაგა; ვალენსია1:1; 0:1დეპორტივო **სევილია** V **ბეტისი** სარაგოსა0:1; 0:3ბარსელონა; ვილიარეალი1:1 | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | : | - | 3:0 1:1 | - |
| 11.11.01 | 20.00 | 098 | 1:2ბილბაო; ლას პალმასი1:0; 3:1ვალიადოლიდი **ალავესი** V **ესპანიოლი** სოსიედადი1:2; 1:1ბილბაო; ტენერიფე2:0 | 1,75 | 2,9 | 4,7 | | | | - | 1:0 0:0 | 3:2 0:0 | 1:1 0:3 |
| 11.11.01 | 20.00 | 099 | 2:4ლას პალმასი; ვალიადოლიდი1:1; 1:1რეალი **სელტა** V **ბილბაო** ალავესი2:1; ესპანიოლი1:1; 1:1ლას პალმასი | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | 1:2 2:3 | [illegible] | [illegible] |
| 11.11.01 | 20.00 | 100 | 0:1ვალიადოლიდი; რეალი2:3; 1:1ბეტისი **ვილიარეალი** V **ლას პალმასი** სელტა4:2; 0:1ალავესი; ბილბაო1:1 | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | 5:1 2:1 | - | - |
| 11.11.01 | 23.00 | 101 | 0:2რეალი; ბეტისი3:0; 1:1მალაგა **ბარსელონა** V **ვალიადოლიდი** ვილიარეალი1:0; 1:1სელტა; ალავესი1:3 | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | - | 3:1 2:2 | 2:0 4:0 | 1:0 1:1 |
| 11.11.01 | 20.00 | 103 | 1:2ვალენსია; დეპორტივო2:1; 0:3მალიორკა **რაიო** V **მალაგა** სევილია1:3; 2:0სარაგოსა; ბარსელონა1:1 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | - | 4:2 1:1 | 4:1 0:2 | - |
| 11.11.01 | 20.00 | 104 | 1:5დეპორტივო; მალიორკა4:0; 1:2სოსიედადი **ოსასუნა** V **ვალენსია** რაიო2:1; 1:1სევილია; სარაგოსა2:0 | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | - | 1:2 0:1 | - | - |
| 11.11.01 | 20.00 | 105 | 1:0ბეტისი; მალაგა0:2; 0:2ვალენსია **სარაგოსა** V **რეალი** ბარსელონა2:0; 3:2ვილიარეალი; სელტა1:1 | 3,6 | 3,1 | 1,9 | | | | - | 0:3 2:3 | 5:1 0:1 | 3:4 2:3 |
| 11.11.01 | 21.00 | 106 | 0:2მალიორკა; სოსიედადი0:1; 0:2ესპანიოლი **ტენერიფე** V **დეპორტივო** ოსასუნა5:1; 1:2რაიო; სევილია1:0 | 3,2 | 3,1 | 2,1 | | | | - | - | - | 1:1 0:2 |
| 11.11.01 | 20.00 | 107 | 2:1ესპანიოლი; 1:0ტენერიფე; ოსასუნა2:1 **სოსიედადი** V **მალიორკა** ტენერიფე2:0; 0:4ოსასუნა; რაიო3:0 | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | - | 0:1 1:1 | 2:1 1:2 | 0:1 0:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეპორტივო ლა კორუნია (2) | | 09.12 | 2:1 | 2:2 | 03.02 | 23.12 | 12.05 | 1:0 | 1:2 | 4:0 | 20.01 | 10.02 | 24.02 | 14.04 | 5:1 | 28.04 | 18.11 | 07.04 | 24.03 | 10.03 | 11 | 7 | 2 | 2 | 23:12 | 23 | 4 | 1 | 1 | 15:6 | 13 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| 2 | ვალენსია ვალენსია (5) | 21.04 | | 24.02 | 10.02 | 0:0 | 12.05 | 1:0 | 10.03 | 03.02 | 20.01 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 28.04 | 24.03 | 23.12 | 07.04 | 02.12 | 18.11 | 2:1 | 11 | 5 | 6 | 0 | 14:8 | 21 | 5 | 1 | 0 | 7:1 | 16 | 0 | 5 | 0 | 7:7 | 5 |
| 3 | ბარსელონა ბარსელონა (4) | 17.02 | 2:2 | | 09.12 | 14.04 | 3:0 | 17.03 | 13.01 | 25.11 | : | 31.03 | 28.04 | 06.01 | 05.05 | 27.01 | 03.03 | 06.02 | 3:0 | 2:0 | 1:1 | 11 | 5 | 4 | 2 | 17:9 | 19 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| 4 | სელტა ვიგო (6) | 06.02 | 1:1 | 21.04 | | 31.03 | 3:1 | 03.03 | 05.05 | : | 1:1 | 17.03 | 02.12 | 16.12 | 25.11 | 13.01 | 17.02 | 27.01 | 2:0 | 3:0 | 06.01 | 11 | 4 | 6 | 1 | 20:12 | 18 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 | 1 | 4 | 1 | 10:9 | 7 |
| 5 | ალავესი ვიტორია (10) | 2:3 | 06.02 | 02.12 | 18.11 | | 17.02 | 0:0 | 16.12 | 17.03 | 03.03 | 1:0 | 07.04 | 21.04 | : | 06.01 | 1:0 | 2:0 | 27.01 | 13.01 | 05.05 | 11 | 5 | 3 | 3 | 12:7 | 18 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| 6 | ბეტისი სევილია (ლ) | 05.05 | 06.01 | 10.03 | 24.02 | 1:0 | | 3:1 | 24.03 | 10.02 | 03.02 | 1:0 | 1:1 | 0:1 | 2:0 | 07.04 | 13.01 | 21.04 | 16.12 | 02.12 | 18.11 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:12 | 17 | 4 | 1 | 1 | 8:3 | 13 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 7 | რეალი მადრიდი (1) | 06.01 | 13.01 | 2:0 | 1:1 | 24.02 | 27.01 | | 18.11 | 2:0 | 2:2 | 10.02 | 10.03 | 24.03 | 5:1 | 02.12 | 1:1 | 16.12 | 05.05 | 21.04 | 07.04 | 11 | 4 | 4 | 3 | 19:15 | 16 | 3 | 3 | 0 | 13:5 | 12 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| 8 | სევილია სევილია (ლ) | 03.03 | 1:1 | 1:2 | 23.12 | 28.04 | : | 31.03 | | 09.12 | 25.11 | 14.04 | 12.05 | 20.01 | 27.01 | 06.02 | 17.03 | 17.02 | 2:2 | 2:0 | 2:1 | 11 | 4 | 4 | 3 | 18:15 | 16 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 8 |
| 9 | ბილბაო ბილბაო (14) | 27.01 | 2:2 | 07.04 | 24.03 | 2:1 | 0:0 | 17.02 | 21.04 | | 1:4 | 03.03 | 18.11 | 02.12 | 1:1 | 05.05 | 06.02 | 13.01 | 0:1 | 06.01 | 16.12 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:15 | 16 | 1 | 3 | 2 | 6:9 | 6 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| 10 | ვალიადოლიდი ვალიადოლიდი (16) | 13.01 | 1:1 | 24.03 | 10.03 | 1:3 | 0:2 | 06.02 | 07.04 | 24.02 | | 1:0 | 1:0 | 18.11 | 0:1 | 21.04 | 27.01 | 05.05 | 06.01 | 16.12 | 02.12 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | 15 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 | 2 | 2 | 1 | 9:9 | 8 |
| 11 | ლას პალმასი ლას პალმასი (11) | 0:1 | 27.01 | 18.11 | 4:2 | 10.03 | 06.02 | 4:2 | 02.12 | 1:1 | 17.02 | | 24.03 | 07.04 | 2:0 | 16.12 | 0:0 | 06.01 | 13.01 | 05.05 | 21.04 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:10 | 14 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 11 | 1 | 0 | 4 | 3:4 | 3 |
| 12 | ვილიარეალი ვილიარეალი (7) | 1:1 | 17.02 | 16.12 | 14.04 | 25.11 | 03.03 | 2:3 | 06.01 | 31.03 | 17.03 | : | | 05.05 | 09.12 | 3:0 | 1:2 | 1:0 | 06.02 | 27.01 | 13.01 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 14 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 7 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| 13 | სარაგოსა სარაგოსა (15) | 1:2 | 03.03 | 12.05 | 28.04 | 09.12 | 17.03 | : | 1:1 | 14.04 | 31.03 | 25.11 | 23.12 | | 13.01 | 0:1 | 0:2 | 3:2 | 17.02 | 06.02 | 27.01 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:13 | 14 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 | 3 | 1 | 2 | 5:5 | 10 |
| 14 | ესპანიოლი ბარსელონა (9) | | 16.12 | 23.12 | 07.04 | 24.03 | 20.01 | 03.02 | 2:3 | 10.03 | 10.02 | 24.02 | 21.04 | 2:1 | | 1:1 | 12.05 | 1:2 | 18.11 | 2:0 | 3:1 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:18 | 14 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 10 | 1 | 1 | 3 | 3:10 | 4 |
| 15 | ოსასუნა პამპლონა (17) | 17.03 | : | 0:0 | 0:3 | 12.05 | 25.11 | 14.04 | 1:0 | 23.12 | 09.12 | 28.04 | 20.01 | 03.02 | 17.02 | | 31.03 | 03.03 | 4:0 | 0:2 | 10.02 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:16 | 14 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 | 2 | 1 | 3 | 5:11 | 7 |
| 16 | მალაგა მალაგა (8) | 16.12 | 05.05 | 1:1 | 2:2 | 10.02 | 3:2 | 20.01 | 1:3 | 1:2 | 1:2 | 03.02 | 24.02 | 10.03 | 06.01 | 18.11 | | 02.12 | 21.04 | 07.04 | 24.03 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | 13 | 1 | 2 | 3 | 9:12 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| 17 | სოსიედადი სან სებასტიანი (13) | 31.03 | 25.11 | 0:2 | 0:0 | 20.01 | 09.12 | 28.04 | 3:3 | 1:3 | 23.12 | 12.05 | 03.02 | 10.02 | 17.03 | 2:1 | 14.04 | | : | 10.03 | 24.02 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:18 | 11 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |
| 18 | მალიორკა პალმა (3) | 25.11 | 14.04 | 10.02 | 03.02 | 0:0 | 28.04 | 23.12 | 24.02 | 20.01 | 12.05 | 0:3 | 0:1 | 0:1 | 31.03 | 10.03 | 09.12 | 24.03 | | 2:0 | 3:0 | 11 | 3 | 2 | 6 | 8:16 | 11 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |
| 19 | ტენერიფე ტენერიფე (ლ) | : | 31.03 | 03.02 | 20.01 | 0:2 | 14.04 | 09.12 | 10.02 | 12.05 | 28.04 | 23.12 | 2:0 | 0:0 | 03.03 | 24.02 | 25.11 | 0:1 | 17.03 | | 3:1 | 11 | 3 | 1 | 7 | 7:15 | 10 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 | 1 | 0 | 5 | 2:11 | 3 |
| 20 | რაიო მადრიდი (12) | 2:1 | 17.03 | 20.01 | 12.05 | 23.12 | 31.03 | 25.11 | 03.02 | 28.04 | 14.04 | 02.12 | 1:2 | 1:2 | 06.02 | 0:1 | : | 2:1 | 03.03 | 17.02 | | 11 | 2 | 1 | 8 | 11:21 | 7 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | 1 |

## ბელგია. მეორე დივიზიონი. 2001-02. XIII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09.11.01 | 23.00 | 141 | 3:0ვირტონი; ლაინცე2:0; 3:1ლიეჟი **მეხელენი** V **სტრომბეეკი** ვიზე3:2; 1:1მონსი; ფლაანდერენი1:2 | 1,45 | 3,5 | 6,0 | | | | - | - | - | - |
| 11.11.01 | 18.00 | 142 | 2:3სტრომბეეკი; ვირტონი1:1; 0:2ლაინცე **ვიზე** V **ტიენენი** მონსი1:1; 0:2ფლაანდერენი; გეელი3:1 | 2,0 | 3,2 | 3,3 | | | | - | - | 0:0 6:0 | - |
| 11.11.01 | 18.00 | 143 | 0:1ლაინცე; ლიეჟი1:1; 0:4რონსი **პატრო** V **ვირტონი** მეხელენი0:3; 1:1ვიზე; მონსი1:1 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | - | - | - |
| 11.11.01 | 18.00 | 144 | 0:0ლიეჟი; რონსი3:0; 0:3დესელი **რუზელარე** V **ლაინცე** პატრო1:0; 0:2მეხელენი; ვიზე2:0 | 1,85 | 3,2 | 3,6 | | | | - | 1:1 1:1 | 1:1 2:1 | - |
| 11.11.01 | 18.00 | 145 | 1:1რონსი; დესელი1:0; 0:2ინგელმუნსტერი **სერკლი** V **ლიეჟი** რუზელარე0:0; 1:1პატრო; მეხელენი1:3 | 2,1 | 3,0 | 3,3 | | | | - | 3:1 2:1 | - | - |
| 11.11.01 | 18.00 | 146 | 1:5დესელი; ინგელმუნსტერი1:0; ჰეუსდენი0:0 **დენდერლეეუ** V **რონსი** სერკლი1:1; 0:3რუზელარე; პატრო4:0 | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | - | - | - |
| 11.11.01 | 18.00 | 147 | ჰეუსდენი1:2; 0:1დენდერლეეუ; სერკლი2:0 **ინგელმუნსტერი** V **დესელი** დენდერლეეუ5:1; 0:1სერკლი; რუზელარე3:0 | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | 3:2 0:4 | 1:2 2:1 | - |
| 11.11.01 | 18.00 | 148 | 1:1ტიენენი; სტრომბეეკი1:1; 1:1ვირტონი **მონსი** V **გეელი** ფლაანდერენი0:1; 1:1ჰეუსდენი; 1:3ტიენენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | | | | - | 1:0 0:1 | - | - |
| 11.11.01 | 18.00 | 149 | 2:1ინგელმუნსტერი; გეელი1:1; 0:0დენდერლეეუ **ჰეუსდენი** V **ფლაანდერენი** 1:0გეელი; ტიენენი2:0; 2:1სტრომბეეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეხელენი (ლ) | | 3:0 | | | : | | | 3:1 | | | 2:0 | | 2:0 | | 2:0 | | | 1:0 | 12 | 11 | 1 | 0 | 25:2 | 34 | 6 | 0 | 0 | 13:1 | 18 | 5 | 1 | 0 | 12:1 | 16 |
| 2 | ინგელმუნსტერი (6) | | | 2:1 | : | | | | | | | 1:2 | | 2:0 | | | 3:0 | 3:0 | 2:0 | 12 | 8 | 0 | 4 | 22:11 | 24 | 5 | 0 | 1 | 13:3 | 15 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| 3 | ზულდ ვესტ ფლაანდერენი (ლ) | | | | 1:1 | | | 2:1 | | 1:0 | 2:0 | | 1:2 | | | | 2:0 | | | 12 | 6 | 4 | 2 | 17:11 | 22 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 |
| 4 | დესელ სპორტი (12) | 0:1 | | | | 5:2 | 2:2 | 5:1 | | | | | 3:0 | | 0:2 | | | | | 12 | 6 | 3 | 3 | 25:12 | 21 | 3 | 1 | 2 | 15:8 | 10 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| 5 | სტრომბეეკი (10) | | 1:0 | 1:2 | | | | | 3:1 | | | | | | | 2:2 | 3:1 | 3:2 | | 12 | 6 | 2 | 4 | 20:19 | 20 | 4 | 1 | 1 | 13:8 | 13 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| 6 | მონსი (4) | | 2:3 | | | 1:1 | | | 3:0 | | | | | 1:0 | : | 4:2 | | | 3:0 | 12 | 5 | 4 | 3 | 20:13 | 19 | 4 | 1 | 1 | 14:6 | 13 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| 7 | დენდერლეეუ (9) | 0:2 | 1:0 | | | | 2:1 | | : | | | 0:0 | 1:0 | | 1:0 | | | | | 12 | 5 | 3 | 4 | 11:15 | 18 | 4 | 1 | 1 | 5:3 | 13 | 1 | 2 | 3 | 6:12 | 5 |
| 8 | რონსი (ლ) | | | 2:2 | | | | | | 1:0 | | | | 1:1 | | | 0:0 | 4:2 | 4:0 | 12 | 4 | 4 | 4 | 18:18 | 16 | 3 | 3 | 0 | 12:5 | 12 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 |
| 9 | ექსელსიორ ვირტონი (ლ) | 0:3 | | | 0:2 | 1:2 | 1:1 | | | | 1:0 | | | | 4:1 | | | | | 12 | 4 | 3 | 5 | 13:13 | 15 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| 10 | ლიეჟი (16) | 1:3 | | | | 1:0 | 1:0 | | | | | | 0:0 | | : | 2:1 | | | | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | 15 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| 11 | ჰეუსდენ ზოლდერი (11) | | | : | | 0:2 | | | | 1:1 | 2:1 | | | | 1:1 | 4:1 | 0:3 | | | 12 | 3 | 5 | 4 | 12:15 | 14 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 | 1 | 3 | 2 | 4:6 | 6 |
| 12 | რუზელარე (8) | 0:0 | 1:3 | | | | 0:1 | | 3:0 | | | 0:0 | | 1:1 | | : | | | | 12 | 3 | 4 | 5 | 13:16 | 13 | 1 | 3 | 2 | 5:5 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| 13 | სერკლ ბრიუგე (7) | | | 0:0 | 1:0 | | | 2:0 | | | : | 2:2 | | | | | | 1:2 | 2:0 | 12 | 3 | 4 | 5 | 10:13 | 13 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |
| 14 | ვერბროედერინგ გეელი (5) | | 0:3 | 0:1 | | 3:0 | | | 1:4 | | | | | 2:0 | | 2:0 | | | | 11 | 4 | 1 | 6 | 13:17 | 13 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 9 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 15 | ლაინცე (15) | | | 2:2 | | | | | 0:0 | 0:2 | | | | | | | 3:0 | 2:0 | 1:0 | 12 | 3 | 3 | 6 | 14:20 | 12 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 | 0 | 1 | 5 | 6:16 | 1 |
| 16 | ტიენენი (13) | | | | 1:4 | | 1:1 | 2:2 | | 0:2 | 1:1 | | | | 3:1 | | | | | 12 | 2 | 4 | 6 | 12:22 | 10 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |
| 17 | ვიზე (ლ) | 0:3 | | | 1:1 | | | 1:1 | | 1:1 | 0:2 | | 2:3 | | | | : | | | 12 | 2 | 3 | 7 | 15:26 | 9 | 0 | 3 | 3 | 5:11 | 3 | 2 | 0 | 4 | 10:15 | 6 |
| 18 | პატრო მაასმეხელენი (14) | | | | 0:2 | | | 0:1 | | : | 1:1 | 1:0 | 4:3 | | | | | 2:4 | | 12 | 2 | 1 | 9 | 8:24 | 7 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 | 0 | 0 | 6 | 0:13 | 0 |

## იტალია. სერია B. 2001-02. XII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 08.11.01 | 23.30 | 072 | 1:0ტერნანა; ბარი1:0; 0:2სამპდორია **პისტოიეზე** V **კომო** ვიჩენცა1:0; მესინა2:1; 1:0სიენა | 2,5 | 2,6 | 2,9 | | | | : | - | - | - |
| 09.11.01 | 23.45 | 073 | 1:0ბარი; სამპდორია1:1; ვიჩენცა0:0 **ნაპოლი** V **კროტონე** რეჯინა1:2; 0:1ემპოლი; ვიჩენცა3:4 | 1,6 | 3,0 | 5,6 | | | | : | - | - | - |
| 11.11.01 | 18.00 | 074 | 2:0ჩიტადელა; რეჯინა0:0; 0:3მოდენა **კალიარი** V **ტერნანა** პისტოიეზე0:1; 0:3პალერმო; ანკონა0:1 | 1,8 | 2,7 | 4,7 | | | | - | 0:1 1:1 | - | - |
| 11.11.01 | 18.00 | 075 | 1:3მესინა; სიენა2:1; 1:2სალერნიტანა **კოზენცა** V **ჯენოა** სამპდორია1:0; სალერნიტანა4:0; 0:1ბარი | 2,6 | 2,6 | 2,8 | | | | - | 1:2 1:0 | 1:0 1:2 | 0:0 2:2 |
| 11.11.01 | 18.00 | 076 | 1:0მოდენა; კროტონე1:0; 0:1რეჯინა **ემპოლი** V **სალერნიტანა** ანკონა2:0; 0:4ჯენოა; კოზენცა2:1 | 1,6 | 3,0 | 6,5 | | | | - | 0:0 2:1 | 0:3 1:1 | - |
| 11.11.01 | 18.00 | 077 | 1:1სიენა; ტერნანა3:0; 0:2მესინა **პალერმო** V **მოდენა** ემპოლი0:1; 5:0ვიჩენცა; კალიარი3:0 | 2,3 | 2,7 | 3,3 | | | | - | - | - | - |
| 12.11.01 | 23.45 | 078 | 0:1კომო; მოდენა0:5; 0:0ნაპოლი **ვიჩენცა** V **ანკონა** 0:2სალერნიტანა; ჩიტადელა0:1; 1:0ტერნანა | 1,7 | 2,9 | 4,7 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოდენა (ლ) | | 18.11 | 09.12 | 0:1 | 3:0 | | | 4:1 | | | 23.12 | | | 2:0 | 02.12 | | | | 3:0 | 2:2 | 10 | 6 | 3 | 1 | 21:5 | 21 | 4 | 1 | 1 | 14:4 | 13 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| 2 | რეჯინა რეჯო კალაბრია (ლ) | | | | 1:0 | 4:1 | | 1:1 | 25.11 | | 09.12 | : | 2:0 | | 0:0 | | | | 23.12 | | | 10 | 6 | 3 | 1 | 13:4 | 21 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 11 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| 3 | ჯენოა გენუა (12) | | 08.01 | | 16.12 | 2:1 | 18.11 | | 0:2 | | 4:0 | 3:0 | 1:0 | | | : | | 02.12 | | | | 10 | 6 | 2 | 2 | 13:5 | 20 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 |
| 4 | ემპოლი ფლორენცია (6) | | | | | 09.12 | | 5:3 | 1:0 | 23.12 | : | 2:0 | | | | | 1:1 | 1:0 | | : | 25.11 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:9 | 20 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| 5 | კომო (ლ) | | | | | | 1:0 | 18.11 | 08.01 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 16.12 | | | | | 1:1 | : | 02.12 | | 10 | 6 | 1 | 3 | 13:12 | 19 | 4 | 1 | 0 | 6:2 | 13 | 2 | 0 | 3 | 7:10 | 6 |
| 6 | ვიჩენცა (ლ) | 0:5 | 16.12 | | 02.12 | | | | | : | | | | 3:2 | : | 2:1 | 1:1 | | 1:1 | 08.01 | | 10 | 4 | 4 | 2 | 15:16 | 16 | 2 | 2 | 1 | 7:10 | 8 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| 7 | პალერმო (ლ) | : | | 25.11 | | | 09.12 | | | | | | | 23.12 | | 3:1 | 1:0 | : | 3:0 | | | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 15 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 | 1 | 3 | 3 | 7:12 | 6 |
| 8 | ნაპოლი ნეაპოლი (ლ) | | | | | | 0:0 | 02.12 | | 1:2 | : | | 1:1 | 09.12 | | | | : | | 0:0 | 23.12 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 15 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 | 4 | 0 | 2 | 8:7 | 12 |
| 9 | ანკონა (10) | 16.12 | 1:0 | 1:1 | | | | 08.01 | | | | | : | 18.11 | | 0:1 | 02.12 | 1:0 | | | 0:0 | 10 | 4 | 3 | 3 | 7:7 | 15 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| 10 | სალერნიტანა სალერნო (15) | 08.01 | | | | | 25.11 | 16.12 | | 2:0 | | 1:2 | 2:0 | 2:1 | | | 2:1 | 0:0 | | 18.11 | | 10 | 4 | 2 | 4 | 14:15 | 14 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 | 0 | 1 | 3 | 5:11 | 1 |
| 11 | მესინა (ლ) | | | | | | 0:0 | 2:0 | 18.11 | 1:1 | | | 02.12 | 3:1 | 16.12 | | | 08.01 | 1:1 | | : | 10 | 3 | 4 | 3 | 10:11 | 13 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| 12 | სამპდორია გენუა (5) | 25.11 | | | 0:2 | | 23.12 | 1:2 | | | | | | 1:1 | 3:0 | : | 2:0 | | 09.12 | | | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | 11 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| 13 | კოზენცა (8) | : | 0:1 | : | 08.01 | 1:4 | | | | | | | | | 02.12 | 2:1 | | | 2:2 | 16.12 | 2:1 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:18 | 11 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| 14 | ბარი (ლ) | | | 1:0 | 2:2 | 25.11 | | 2:0 | 0:1 | 09.12 | 23.12 | | | | | | | 0:2 | | | : | 10 | 3 | 2 | 5 | 7:12 | 11 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 | 1 | 1 | 3 | 2:7 | 4 |
| 15 | ჩიტადელა პადოვა (14) | | 0:2 | | 2:1 | 23.12 | | | 1:2 | | 4:4 | 09.12 | | | 18.11 | | | | 25.11 | 0:2 | | 10 | 3 | 1 | 6 | 13:19 | 10 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| 16 | პისტოიეზე პისტოია (16) | 0:0 | : | 0:1 | | : | | | 16.12 | | | 25.11 | | 0:1 | 1:0 | 08.01 | | | | | | 10 | 2 | 3 | 5 | 5:9 | 9 | 1 | 1 | 2 | 1:2 | 4 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| 17 | კროტონე (9) | 1:2 | 1:2 | | | | 3:4 | | | | | | 18.11 | 25.11 | | 1:2 | 23.12 | | | 4:2 | 09.12 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:15 | 8 | 1 | 0 | 4 | 10:12 | 3 | 1 | 2 | 2 | 3:3 | 5 |
| 18 | ტერნანა ტერნი (7) | 0:0 | | 0:0 | 18.11 | | | | 1:2 | 0:1 | 02.12 | | | | 08.01 | | 0:1 | 16.12 | | | 3:0 | 10 | 1 | 5 | 4 | 8:11 | 8 | 1 | 2 | 3 | 4:4 | 5 | 0 | 3 | 1 | 4:7 | 3 |
| 19 | კალიარი (11) | | 0:0 | 23.12 | | | | 0:0 | | 25.11 | | 0:0 | 0:2 | | 1:2 | | 09.12 | | : | | 1:1 | 10 | 1 | 5 | 4 | 6:12 | 8 | 0 | 4 | 2 | 2:5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| 20 | სიენა (13) | | 02.12 | 0:1 | | 0:1 | 2:4 | 1:1 | | | 2:1 | | 08.01 | | | 16.12 | 18.11 | | | | | 10 | 1 | 4 | 5 | 9:16 | 7 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |

# ღრიალს ვიწყებთ დილიდან



ლონდონურ პაბში ფეხბურთით გართული ეს მამაკაცი მის უკან მჯდომი ქალბატონის გამომწვევ ჩაცმულობას ვერც ამჩნევს

**ინგლისში** 64 ათასამდე პაბია, პაბი კი ინგლისური ლუდხანაა, რომელიც ზუსტად დილის 11 საათზე იღება და ღამის 11 საათზე იკეტება. პაბებში, სხვა სიკეთესთან ერთად, დიდ ეკრანზე ფეხბურთის მატჩებს უჩვენებენ.

ინგლისში მსოფლიოს უძველესი პარლამენტია, პარლამენტში კი, სხვა კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების გვერდით, ლუდის ჯგუფიც ფუნქციონირებს. მისი თავმჯდომარე, ლიბერალ-დემოკრატი ნაიჯელ ჯონსი ამბობს, რომ ძმაბიჭებთან და უბნელებთან ერთად პაბში თამაშის ყურებას ამქვეყნად ბევრი არაფერი სჯობს.

იცოცხლეთ, გადასარევიაო — მხარი აუბა თავის რჩეულს ფეხბურთისა და ლუდის მოყვარულმა მოსახლეობამ — მაგრამ მომავალი წლის ივნისში რაღა ვქნათო, იკითხა.

ამის თქმა და შესაბამისი ორგანოების დაფაცურება ერთი იყო. შეიკრიბნენ მინისტრები, ქალაქების მერები და პაბების მფლობელები — ამ საქმეს რამე ვუშველოთო.

და უშველეს კიდეც. მით უმეტეს, რომ ამ გეგმის ლობირებას თავად პრემიერ-მინისტრი, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფანი ტონი ბლერი და ლიცენზიების მინისტრი, დოქტორი კიმ პაუელსი ახდენდნენ.

გადაწყდა: 2002 წლის ივნისში ამის მსურველ პაბებს უფლება ეძლევათ, ლუდი დილის 6 საათიდან ჩამოასხან. „გადასარევი ცნობაა. ერთად ჩაჯდომა დილიდან შეგვიძლია. ახლა მთავარია, ბიჭებმა არ გვიმტყუნონ, თორემ ჯავრიან გულზე ბევრის დალევა მოგვიწევს“ — განაცხადა ფეხბურთის გულშემატკივართა ასოციაციის პრესმდივანმა კევინ მაილსმა.

მაგრამ არავინ იფიქროს, ამ გადაწყვეტილების შესრულება იოლი საქმეაო: პაბის მფლობელმა ერთთვიანი ლიცენზიის მისაღებად მაგისტრატურაში განცხადება უნდა შეიტანოს და თან უბნის პოლიციისა და, ჰოი, საოცრებავ (ჩვენთვის), პაბის მეზობლად მცხოვრები მოსახლეობის ნებართვა წარადგინოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემა პაბს ალკოჰოლის დილის 6 საათიდან გაყიდვის დროებითი უფლება. როგორც ვარაუდობენ, ამ მოთხოვნას 64 ათასიდან დაახლოებით ნახევარზე მეტი დააკმაყოფილებს.

შესაბამისი დავალებები მიეცათ ტრანსპორტისა და შინაგან საქმეთა მინისტრებსაც: პირველს საზოგადო ტრანსპორტის დილის საათებში გრაფიკის შეცვლა დაევალა (უფრო ინტენსიური უნდა გახდეს), მეორეს კი — უფრო ფრთხილად ყოფნა, რათა უთენია ნასვამმა ხალხმა დილით წესრიგი არ დაარღვიოს (განსაკუთრებით მძღოლებს ეხებათ).

ცნობისთვის: 2002 წლის 31 მაისიდან 30 ივნისამდე კორეასა და იაპონიაში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართება, დროში რვასაათიანი სხვაობის გამო კი მატჩები ბრიტანეთში დილის 7, 9 და 12 საათზე გადაიცემა. ეს მთელი ამბავიც სწორედ ამას მოჰყვა.

**გიგა ძოგანიძე**

**P.S.** წერილი ეძღვნება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ რესტორან „სოხუმს“, რომელიც უკვე სამი წელიწადია, ძილს უფრთხობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დაბანაკებულ მოსახლეობას.



REUTERS საინფორმაციო

სტუმართა კაპიტანი ფაბიო კანავარო ისე იბრძოდა, თითქოს უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე ყოფილიყო

# დონის ნამდვილი დონე

## ამხანაგური მატჩი

**იაპონია 1:1 იტალია**

1:0 იანაგისავა (10), 1:1 დონი (51)

იაპონია: სოგაჰატა, მორიოკა, ჰატო (მიოინი 74), მიამოტო, კ. ნაკატა, მორიშიმა (ჰ. ნაკატა 46), ტოდა, ინამოტო (იტო 75), ონო (ჰატორი 70), იანაგისავა (ნიშიზავა 66), ტაკაჰარა (სუზუკი 46; ნაკაიამა 87)

იტალია: ბუფონი, იულიანო, ფ. კანავარო, ნესტა, დი ბიაჯო (ძანეტი 46), კოკო (პანკარო 66), ძამბროტა, გატუზო, ტოტი (დონი 46; დი ლივიო 88), დელ პიერო (დელვეკიო 59), ფ. ინძაგი (ფიორე 87)

მსაჯი: ლუ იუნი (ჩინეთი)

61 833 მაყურებელი

**იტალიის** ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ „სკუადრა აძურამ“ ამხანაგურად გასაჯიბრებლად მოიცალა. მეგობრობას ვერანაირი მანძილი ხელს ვერ შეუშლისო და ჯოვანი ტრაპატონი თავისი გუნდით ამომავალი მზის ქვეყანაში გაემგზავრა. გუშინ იაპონიის ქალაქ საიტამაში (ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანია, სადაც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები გაიმართება) იტალიელებმა მასპინძლებთან ბურთი გააგორეს.

ტრაპატონი საკმაოდ სერიოზულად მიუდგა ამ შეხვედრას, რაც შემადგენლობიდანაც ჩანს. იაპონელებმაც თავისი ლეგიონი მოკრიბეს და მატჩიც მოსაწყენი არ ყოფილა.

თამაში წესიერად არც გახურებულიყო, რომ იანაგისავამ ინამოტოსგან მიღებული ბურთი შეუჩერებლივ ჯანლუიჯი ბუფონის კარის ბადეში გააგზავნა. ამის შემდეგ ორივე გუნდის ფეხბურთელებს საგოლე მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ 45 წუთი, ანუ პირველი ტაიმი ისე მიილია, ანგარიში არ შეცვლილა.

ჯოვანი ტრაპატონიმ მეორე ტაიმის დასაწყისში ორი ფეხბურთელი შეცვალა. მინდორზე ორი კრისტიანი, ძანეტი და დონი შეუშვა (ალბათ, იფიქრა, ერთი მაინც გაამართლებსო). აღმოჩნდა, რომ იტალიელი სპეციალისტი არ შემცდარა. შეხვედრა ექვსი წუთის განახლებული იყო, როცა დებიუტანტმა, „ატალანტას“ ნახევარმცველმა დონიმ თავის პირველივე მატჩში გოლი მიითვალა.

შეცვლაზე შესულებს მთლიანობაში თამაში კარგად წაუვიდათ. შედეგად იტალიელებმა მოედნის შუახაზში უპირატესობა მოიპოვეს, რის ხარჯზეც კიდევ შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან. თავის გამოჩენა მარკო დელვეკიოსაც შეეძლო, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ამხანაგურ მატჩებში, შეხვედრა საბოლოოდ ფრედ დასრულდა. ვფიქრობთ, იაპონელი გულშემატკივრები ასეთი შედეგით კმაყოფილნი დარჩებოდნენ, რაც არ უნდა იყოს, იტალიაა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პორტუგალია

**I ლიგა. XI ტური**

**ბოავიშტა 5:0 ფერეირა**

1:0 ელპიდიუ სილვა (30), 2:0 პედრუ კორეირა (11მ.ჯ.), 3:0 სერჟინიუ (72), 4:0 ა. პეტი (84), 5:0 მარსიუ სანტუში (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 11 | 8 | 1 | 2 | 23:8 | 25 |
| პორტუ | 11 | 7 | 1 | 3 | 20:8 | 22 |
| ბენფიკა | 11 | 5 | 6 | 0 | 19:11 | 21 |
| სპორტინგი | 11 | 6 | 2 | 3 | 25:10 | 20 |
| მარიტიმუ | 11 | 6 | 0 | 5 | 16:12 | 18 |
| ბელენენსეში | 11 | 5 | 2 | 4 | 16:15 | 17 |
| გიმარაეში | 11 | 5 | 2 | 4 | 13:14 | 17 |
| ბეირა მარი | 11 | 4 | 4 | 3 | 24:21 | 16 |
| ბრაგა | 11 | 4 | 3 | 4 | 15:9 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 4 | 3 | 4 | 12:15 | 15 |
| სეტუბალი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:15 | 14 |
| ლეირია | 11 | 3 | 5 | 3 | 14:12 | 14 |
| ალვერკა | 11 | 3 | 2 | 6 | 14:23 | 11 |
| ფარენსე | 11 | 3 | 2 | 6 | 8:17 | 11 |
| სანტა კლარა | 11 | 2 | 4 | 5 | 8:16 | 10 |
| სალგეიროში | 11 | 3 | 1 | 7 | 9:23 | 10 |
| ვარზიმი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:22 | 9 |
| ფერეირა | 11 | 1 | 5 | 5 | 10:22 | 8 |

## შოტლანდია

**ლიგის თასი. III ეტაპი**

**სელტიკი 8:0 სტირლინგი**

1:0 ჰართსონი (22), 2:0, 3:0, 4:0, 5:0 მელოუნი (28, 41, 53, 68), 6:0 ტებილი (72), 7:0 ჰართსონი (74), 8:0 ჰეილი (78)

**1/4 ფინალის წილისყრა**

ლივინგსტონი — სელტიკი; როს ქაუნთი (I) — გლაზგო რეინჯერსი; ეარი (I) — ინვერნესი (I); ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი

მატჩები გაიმართება 27-28 ნოემბერს

## ესპანეთი

**II დივიზიონი. XIII ტური**

**პოლი ეხიდო 1:1 კორდობა**

0:1 ველიტონი (10), 1:1 კრუზი (42)

## ჰოლანდია

**თასის 1/8 ფინალის წილისყრა**

სტორმვოგელსი ან ტელსტერი — სიტარდი; როდა — ჰერენვენი; ვალვაიკი — ჰაგ ენდჰოვენი; აიაქსი (მოყვ.) — ტვენტე აიაქსი — როზენდალ; ფეიენოორდი — დენ ბოსხი; უტრეხტი — ექსელსიორი; გრონინგენი — ზვოლე

მატჩები გაიმართება 12 დეკემბერს

# საწყალი მილიონერი




ფრანც ბეკენბაუერი: ყველაზე მდიდარი ღარიბი

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა დაიჩივლა, აბა, ჩემნაირ კაცზე მდიდარი როგორ ითქმისო. „კაიზერ ფრანცი“ იმასაც ამტკიცებს, ეკონომიკურად დამოუკიდებელი ხალხი ბუნებაში არ არსებობსო.

ამასთან დაკავშირებით იგი ფილოსოფიურ ტალღაზე გადაერთო და ენად გაიკრიფა: „მე მდიდარი არ ვარ და საერთოდ, რას ნიშნავს, მდიდარი? კონფუცი ამბობდა, მდიდარი ის არის, ვისაც ვალები არა აქვსო. თუ ამით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ მდიდარი ვარ, მაგრამ მოითმინეთ, განა ყველაფერი აქ მთავრდება? სინამდვილეში მდიდრებად ითვლებიან ისინი, ვინც ამ თემას სხვა განზომილებაში განიხილავენ“.

ბეკენბაუერი ამბობს, რომ თავის დროზე მისი შემოსავლების ძირითადი წყარო მხოლოდ რეკლამა იყო და მასზე დამოკიდებულებას იგი ხშირად გრძნობდა. ეს მაშინ, როცა ბეკენბაუერის, როგორც ფეხბურთელის ხელფასი, ახლანდელ ჯამაგირებთან შედარებით, უბრალოდ სასაცილო გახლდათ. „საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვაპირებდი, ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა და სადაზღვევო კომპანიაში დამეწყო მუშაობა. ეს საკითხი ჩემს წინაშე საკმაოდ სერიოზულად იდგა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ ნათელი არ იყო, ფეხბურთის განვითარება რა გზით წავიდოდა. რა გადამხდებოდა, მწვანე მინდორი რომ მიმეტოვებინა?“ — რიტორიკული კითხვით დაასრულა „ბაიერნის“ პრეზიდენტმა.

**ვაჟა ხუციშვილი**




☎ (231) 7 17 63

ქუთაისში

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანია ძველ ძმაკაცებს დაერია

## წყნარმა ქართველმა ხმა ამოიღო

6 ნოემბერი

**მაიამი 87:85 სიეტლი**

**(ძირითადი დრო 80:80)**

**მაიამი:** კარტერი (4 ქულა, 11 პასი), ჯონსი (25), გილი (4), გრანტი (10), მარქსი (15); მეკი (11), სტეფანია (15 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ელისი (6), ჰაუსი (2), ჰამილტონი

**სიეტლი:** პეიტონი (24), ბერი (7), ლუისი (11 ქულა, 11 მოხსნა), ბეიკერი (20), ბუთი; რადმანოვიჩი (12), უოკსონი (7), ჯეიმსი (4), ლონგი

შესაძლოა ვოვა სტეფანიამ სთხოვა პატ რაილს ცოტა ხანი მათამაშეო, მისი ახალი გუნდი „მაიამი ჰითი“ ყოფილს — „სიეტლ სუპერსონიქსს“ ხვდებოდა, ქართველსაც ძველი თანაგუნდელებისთვის რაღაცის დამტკიცება უნდოდა და ვოვამ დაამტკიცა კიდეც რომ თამაში შეუძლია. რაილიმ საკმაო სათამაშო დრო და ამის საშუალება მისცა. ახალ გუნდში ქართველის დებიუტი ძველის წინააღმდეგ თამაშისას შედგა. ამ თამაშში ვოვამ შვიდი სროლიდან ხუთი ჩააგდო, ათი ქულა მოიხვეჭა, ოთხი მოხსნა, ერთი ბურთი ჩაჭრა და მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა. სტეფანიამ შესანიშნავად ითამაშა არა მაშინ, როცა ყველაფერი გადაწყვეტილია და სხვაობა ოცი ან მეტი ქულაა, არამედ დაძაბულ ბრძოლაში, სადაც ბევრ მასზე ძლიერს არაფერი გამოსდის. შესაძლოა „სიეტლთან“ შეხვედრის შემდეგ პატ რაილიმ მეტი ყურადღება მიაქციოს სათადარიგოთა სკამზე ჩუმად მჯდარ და ბევრის შემძლე 213-სანტიმეტრიან ქართველს.

ისე კი რაილის სხვა გზა არ ჰქონდა, სტეფანია უნდა ეთამაშებინა, რადგან წინა დღით საკვებმა მოწამლა ძირითადი ცენტრი ალონზო მურნინგი. სასტარტო ხუთეულში ადგილი შონ მარქსს ერგო. მანაც ბოძებული შეირგო და კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 15 ქულა მოიხვეჭა. სტეფანია მარქსს ცვლიდა და არც ის აკლებდა ხელს „სიეტლს“, რომელსაც ასე სურდა გამარჯვება.

„სუპერსონიქსს“ მთავარ დამრბევად „მაიამის“ მსროლელი ედი ჯონსი მოევლინა, რომელმაც წინა სამი თამაში უხეიროდ ჩაატარა და რაილისგან დატუქსული ახლა მეტი მონდომებით ირჯებოდა. „მწვრთნელმა დამავალა მეტი ინიციატივა გამომეჩინა შეტევაში, გუნდს გავძღოლოდი და ეპიზოდურად არ მემოქმედა. ამის საჭიროება მეც ვიგრძენი, რადგან ალონზო არ გვყავდა. ვფიქრობ, გავამართლე“ — თქვა ჯონსმა ნამატჩევს.

საერთოდ რაილიმ „კლივლენდთან“ და „ატლანტასთან“ მარცხის შემდეგ ჯონსთან ერთად ყველა სხვა შეგირდს დაუცაცხანა და მეტი ყურადღებით და მონდომებით თამაში მოსთხოვა. მათაც მოინდომეს და თუმც მურნინგი არ ჰყავდათ, ძლიერი მეტოქე წამოაქციეს. გამთამაშებელმა ენტონი კარტერმა იქნებ კარიერის საუკეთესო თამაში ჩაატარა. მართალია, ოთხი ქულა ჩააგდო, მაგრამ პირდაპირი მოვალეობა, შეტევათა ორგანიზება მშვენივრად შეასრულა და 11 პასი მიითვალა. მან და ჯონსმა დაცვაშიც არ შეირცხვინეს თავი, ბევრს მოძრაობდნენ და მეტოქეთ პერიმეტრიდან სროლისას ხელს უშლიდნენ. შედეგად პეიტონმა 28 სროლიდან 19 ააცილა, ლუისმა 15-დან — 12, ბერიმ 10-დან — 8.

„ჰითმა“ თავიდანვე ააწყო დაცვაში საქმე და პირველივე წუთებიდან დაწინაურდა, თუმც არც ისე ბევრით. პირველი თორმეტწუთეულის 25:19 მოგების შემდეგ მასპინძლებმა ცოტა მეტით წაიწიეს. მეორე მეოთხედის დასაწყისში სტეფანიამ ზედიზედ ორჯერ ჩააგდო ნახტომში და თავისიანები ცხრა ქულით მოწყვიტა მეტოქეს. ტაიმი კი 44:37 დამთავრდა.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა გაფთრებით დაიწყო. „მაიამი“ 17 ქულით უგებდა მეტოქეს, თუმც სტუმრები მალე გამოფხიზლდნენ და მესამე მეოთხედშივე 11 ქულა გაქვითეს. მეოთხე თორმეტწუთეული დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „ჰითი“ 80:73 იგებდა, მაგრამ დარჩენილ დროში ქულაც ვერ იშოვა. სამაგიეროდ, სტუმრებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და შეხვედრის დამატებით დროში გადაყვანა.

მასპინძლებმა ოვერტაიმშიც მდევრად ამყოფეს სტუმრები, პირველ ოთხ წუთში ქულა არ ჩააგდებინეს და 85:80 დაწინაურდნენ. ბოლო წუთზე სიეტლელთა ლიდერებმა ივარგეს, ჯერ ვინ ბეიკერმა ორიანი ჩააგდო, შემდეგ კი პეიტონმა შორი მანძილიდან იყოჩაღა და „მაიამის“ კვლავ მოუხდა უპირატესობის მოსაპოვებლად ოფლის ღვრა. მასპინძლებს შეტევის მოსამზადებლად 22 წამი ჰქონდათ, მშვენივრადაც გამოიყენეს და ედი ჯონსმა სირენამდე 1,7 წამით ადრე ჩაგდებული ბურთით თავის გუნდს ოთხ თამაშში მეორე გამარჯვება მოუტანა

**პორტლენდი 101:83 იუტა**

**პორტლენდი:** ვოლესი (26), ველსი (21), ანდერსონი (15 ქულა, 10 პასი)

**იუტა:** მარშალი (15), მელოუნი (14)

**ფინიქსი 113:101 მემფისი**

**ფინიქსი:** ჰარდევეი (26), მარიონი (24 ქულა, 10 მოხსნა)

**მემფისი:** გასოლი (27), რაიტი (17 ქულა, 14 მოხსნა), ანდერსონი (17)

**ჰიუსტონი 99:93 დენვერი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (22 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), მობლი (17)

**დენვერი:** ვან ექსელი (25), ლაფრენცი (18 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსონი (18)

**დალასი 110:92 შარლოტი**

**დალასი:** ნოვიცკი (34 ქულა, 10 მოხსნა), ფინლი (31)

**შარლოტი:** კემბელი (17 ქულა, 10 მოხსნა), ვესლი (16)

**სან ანტონიო 104:89 ორლანდო**

**სან ანტონიო:** დანკანი (26 ქულა, 14 მოხსნა), რობინსონი (17)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (20), ჰილი (17 ქულა, 16 მოხსნა)

**მინესოტა 104:94 ნიუ იორკი**

**მინესოტა:** შჩერბიაკი (35), გარნეტი (19 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (17)

**კლივლენდი 99:115 საკრამენტო**

**კლივლენდი:** მიური (22), მილერი (19 ქულა, 17 პასი)

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (32 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (18), ჯექსონი (17)

**ფილადელფია 77:87 ინდიანა**

**ფილადელფია:** კოულმენი (25), კლაქსტონი (23)

**ინდიანა:** როუზი (26), ონილი (22), მილერი (15)

„იუტა ჯაზის“ მზე თანდათან ჰორიზონტს ეფარება. ამ ბებრულმა გუნდმა ხუთი თამაშიდან ოთხი წააგო, რაც ბოლო 18 სეზონში მისთვის უარესი დასაწყისია. კარლ მელოუნს რომ ჰკითხოთ, ვერ გეტყვით უიღბლობის მიზეზს: „რომ ვიცოდეთ, ხარვეზებს გამოვასწორებდით და საქმეს ავაწყობდით. ერთ რამეს ვერ დავაბრალებთ, ყველაფრის მიზეზი უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ“.

მისი მძლეველი პორტლენდელები კი შესანიშნავ ხასიათზე არიან. უხეირო „გოლდენ სტეიტთან“ ნამარცხევს „ბლეიზერსის“ კალათბურთელებმა ცარიელ ოთახში შეიყვანეს გიჟმაჟი თანაგუნდელი რაშიდ ვოლესი და იქ ამხანაგური სასამართლო, თუ რაღაც ამდაგვარი მოუწყეს, შედეგად ვოლესმა 26 ქულა ჩაუგდო „იუტას“.

„მემფისის“ ესპანელმა ახალწვეულმა პაუ გასოლმა 27 ქულა მიითვალა, მაგრამ მისმა გუნდმა ვერც ფინიქსში მოიგო. „დათვები“ ვანკუვერიდან წამოსვლის შემდეგ ჯერაც მშივრები არიან და ამ სეზონში ოთხივე თამაში წაუგიათ.

„მემფისთან“ ერთად გამარჯვება ჯერაც არ უზეიმია ვიცე-ჩემპიონ „ფილადელფია სიქსერზს“, რომელსაც ალენ აივერსონი და კიდევ ორი ლიდერი აკლია, ხოლო ვინც ჰყავს, იმ ხალხით ოთხივე თამაში წააგო. ხეირიან უკანახაზელთა არყოფნაში მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა „ინდიანასთან“ მთელი ტვირთი მაღლებს — დერიკ კოულმენს და დიკემბე მუტომბოს აჰკიდა და თამაშიც მათზე ააწყო, მაგრამ მისი ყოფილი გუნდის ახალმა მწვრთნელმა აიზია ტომასმა ჩანაფიქრი გამოუცნო და აჯობა. ინდიანელთა ყმაწვილმა მეფარე ჯერმენ ონილმა უკვე პირველ მეოთხედში სამი პერსონალური აჰკიდა ხნიერ მუტომბოს და მთელი მეორე მეოთხედით დაასვენა. მუტომბოს არყოფნაში სტუმრებმა ცხრაქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და არც მეორე ტაიმში დათმეს ლიდერობა.

სან ანტონიოში იქაურმა „სფურზმა“ მოძლიერებული „ორლანდო“ იმსხვერპლა, რაშიც 19 წლის ფრანგი ახალბედა ტონი პარკერი დაიხმარა. ამ ვითომ დაუდევრებელმა ბიჭუნამ ბურთიც რიგიანად ათამაშა და მაღალ თანაგუნდელებს — დანკანსა და რობინსონს პასები არ დაუგვიანა, თავადაც თორმეტი ქულა მოინაგრა, ხოლო დაცვაში სტუმართა გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი გამოთიშა და „ორლანდოს“ შეტევებს სიმწვავე მოაკლო.

ჯერაც წაუგებელმა „მინესოტამ“ ისევ მოიგო. მას ამჯერად „ნიუ იორკი“ ერგო საკბილოდ და კევინ გარნეტმა, ვალი შჩერბიაკმა და ტერელ ბრენდონმა (12 ქულა, 12 პასი) უცებ შეახრამუნეს იგი.

სამშაბათს თამაშის მომგებთა შორის გაერია „დალას მავერიქსიც“, რომლის გერმანელ ლიდერ დირკ ნოვიცკის ამას წინათ დაშავებული კოჭი მოურჩა, რის გამოც მეტოქე „შარლოტს“ კარგი დღე არ დაადგა.

**ირაკლი ფირცხალავა**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 3 | -1 | 75,0 |
| ვაშინგტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| მაიამი | 2 | 2 | 50,0 |
| ორლანდო | 2 | 3 | 40,0 |
| ნიუ იორკი | 1 | 3 | 25,0 |
| ფილადელფია | 0 | 4 | 0,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 3 | 0 | 100,0 |
| დეტროიტი | 3 | 1 | 75,0 |
| ინდიანა | 3 | 2 | 60,0 |
| შარლოტი | 2 | 2 | 50,0 |
| ტორონტო | 2 | 2 | 50,0 |
| ჩიკაგო | 1 | 2 | 33,3 |
| ატლანტა | 1 | 3 | 25,0 |
| კლივლენდი | 1 | 4 | 20,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| მინესოტა | 4 | 0 | 100,0 |
| დალასი | 4 | 1 | 80,0 |
| ჰიუსტონი | 4 | 1 | 80,0 |
| სან ანტონიო | 3 | 2 | 60,0 |
| დენვერი | 1 | 3 | 25,0 |
| იუტა | 1 | 4 | 20,0 |
| მემფისი | 0 | 4 | 0,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 4 | 0 | 100,0 |
| საკრამენტო | 4 | 0 | 100,0 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 2 | 50,0 |
| სიეტლი | 2 | 3 | 40,0 |
| ფინიქსი | 2 | 3 | 40,0 |
| პორტლენდი | 2 | 3 | 40,0 |
| კლიპერსი | 1 | 3 | 25,0 |




მაიამი — სიეტლი. მაიამელმა ედი ჯონსმა გერი პეიტონს აჯობა და ბოლო წამზე გამარჯვების მომტანი ბურთი ჩააგდო

ჭადრაკი

# რუსეთი ევროპას შეეშვა

**ნაკრებთა** მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდა თუ არა, ბებერი კონტინენტის გუნდური პირველობა დაიწყო, ოღონდ იგი სხვა პრინციპით ტარდება — თუ ერევანში მკაცრი კრიტერიუმებით 9 გუნდი შეირჩა, ესპანურ ლეონში ვაჟთა 37 და ქალთა 32 გუნდი თამაშობს, ანუ მთელი კონტინენტი.

ვაჟები 4 დაფაზე იბრძვიან, ქალები — ორზე. უკანასკნელებზე მოკლედ გეტყვით, რომ ექსპერტები ფავორიტებში რატომღაც იუგოსლავიას და უკრაინას ასახელებენ, საქართველოს — არა, თუმცა ქეთევან არახამია-გრანტის და მაია ლომინეიშვილის დუეტმა პირველ ტურში შვეიცარიას 2:0 მოუგო და საერთოდ, აღდგომა და ხვალეო.

რუსეთის ვაჟთა ნაკრები ლეონში არ ჩასულა, რამაც მიმომხილველთა ირონია გამოიწვია. „ჩვენი ნაკრების წაუსვლელობა გარკვეული ფინანსური უთანხმოებით ახსნეს, ვითომ ელიტარულ მოჭადრაკეებს შეთავაზებული თანხა არ ეყოთ. არ ვიცით, მიზეზი რა იყო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორები ჩვენს რჩეულ მოთამაშეებს თავიანთ კმაყოფაზე ამყოფებდნენ. იმედია, ამ ამბავს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მაინც მოეფინება ნათელი“ — წერია „კასპაროვის კლუბის“ ვებგვერდზე.

ლეონში არ არის სომხეთის ნაკრებიც და ამ ვითარებაში უმთავრეს ფავორიტად ისრაელს ასახელებენ. ებრაელთა შემადგენლობა ისე სოლიდურია, მეტი არ შეიძლება: ბორის გელფანდი, ილია სმირინი, ემილ სუტოვსკი (ევროპის ჩემპიონი), ბორის ავრუხი და ალონ გრინფელდი, ვინც ამ ხალხში ერთადერთი არაემიგრანტი გახლავთ. ებრაელთა მთავარ მოწინააღმდეგედ მსოფლიოს ჩემპიონი უკრაინა ითვლება, ვისაც ერევნის ბატალიების შემდეგ ახალი ლიდერი ეყოლება — არა ვასილი ივანჩუკი, არამედ 18 წლის რუსლან პონომარიოვი, რომელიც სანაკრებო ტურნირებზე უაღრესად ძლიერად გამოდის. აი, ერევანშიც უკრაინის გაჩემპიონებამ მთლიანად პონომარიოვის ყმაწვილურ ბეჭებზე გადაიარა. საკმარისი იქნება, ჩვეულად დაიქოქოს ივანჩუკიც (ბოლო ხანებში ამას იშვიათად ახერხებს) და უკრაინა ჩემპიონობის მყარი ამბიციით ითამაშებს — მისი უკანა ხაზიც საკმაოდ ძლიერი და თანაბარია.

ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, გერმანია — ამ ოთხეულში თითოეულს საჩინო ბრჭყალები აქვს, უფრო — ტიტების ქვეყნელებს, რომელთაც „მარადიული მეორეობის“ კომპლექსისგან გათავისუფლება სურთ, ხოლო ქართველებს, ქალების არ იყოს, მოწინავეებში აქაც არ ასახელებენ, თუმცა ჩვენები ბოლო ოლიმპიადებზე არავისზე ნაკლებად არ გარჯილან. პირველ ტურში საქართველომ გაჭირვებით მოუგო ისლანდიას — 2,5:1,5. ნაკრებს ქულა მიხეილ მჭედლიშვილმა მოუტანა, რომელმაც ფიდეს ოსტატ ბრაგი კრისტიანსონს სძლია. გიორგი ყაჭეიშვილმა ძლიერი ჰანეს სტეფანსონის იერიშებს გაუძლო. ყაიმი გაახერხეს ხვიჩა სუპატაშვილმა და ბაადურ ჯობავამ.

პირველ ტურში ყველაზე მძლავრად გერმანელებმა, პოლონელებმა, შვეიცარიელებმა და ბელარუსებმა გაიბრძოლეს და ქულათა მაქსიმუმი აქვთ, ხოლო ისრაელმა, ვინც ყველაზე მეტად ვაქეთ, ჩეხეთთან წააგო — 1,5:2,5, მაგრამ ჯერ ხომ მხოლოდ ერთი ტური იყო, 8 კიდევ წინაა.

**დავით გულუა**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



10 ნოემბერი. 15 საათი

## საქართველო - საფრანგეთი „ა"

თბილისი. «ლოკომოტივის» სტადიონი

# მორაგბე ცაბაძეს კრივის სწავლაც უწევს

*ევროპის თასის მეოთხე ტურში ლევან ცაბაძის „კასტრი" შინ ინგლისურ „ჰარლიქვინზს" ეთამაშებოდა. მეორე ტაიმში, მორიგი მოლის შემდეგ, ლევანი მინდვრის შუაგულში წაიქცა. ბორჯღალოსანთა მორკინალი თავისით წამოდგა და ბარბაცით დატოვა მოედანი. როგორც გაირკვა, ქართველს ინგლისის ნაკრების წევრი ჯეისონ ლენარდი ეუხეშა. ლეონსიომ თავი გაიტეხა და ფეხის კუნთის დაჟეჟილობა მიიღო.*

*მიუხედავად ტრავმისა, ლევან ცაბაძე მაშინ შეიყვანეს საქართველოს ნაკრების 22-კაციან საბრძოლო რაზმში. თუ რა ძალაა იგი ნაკრებისთვის, ყველას კარგად მოგეხსენებათ.*

*ბორჯღალოსანთა მარჯვენა ბურჯს მაშინ გავესაუბრეთ, როცა იგი ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა. უპირველესად ტრავმის თაობაზე და კასტრულ ამბებზე დავეკითხეთ.*

— ზუსტად ვერ გეტყვით, რა მოხდა. ზედახორაში მოვყევი და პირველი, რაც ვიგრძენი, თავის არეში საშინელი ტკივილი იყო. როგორც აღმოჩნდა, თავი მქონდა გატეხილი. ამასთან, ფეხის კუნთიც დამეჟეჟა. ახლაც მაწუხებს ტრავმა, ფეხი მტკივა. გადაჭრით ვერ გეტყვით, ვითამაშებ თუ არა საფრანგეთთან.

**— შენს ახალ მწვრთნელზე, რემი ტრემულეზე რას გვეტყვი?**

— ჯერ გამოუცდელი მწვრთნელია. ცოტა ხნის წინ მოქმედი მორაგბე იყო, „კოლომიეს" კვაჭი გახლდათ. თავის დროზე, როდესაც „ნარბონის" ღირსებას ვიცავდი, მის წინააღმდეგ მომიწია თამაშმა. მაშინ საკმაოდ მოხვდა ჩემგან. როდესაც „კასტრის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, კრება მოიწვია და მორაგბეებს შეგვხვდა. პირველი, რაც გვითხრა, ეს იყო: მარტო რაგბის მცოდნე კაცი არ მჭირდება, ისეთ ხალხს დავეყრდნობი, ვინც მოედანზე იომებს და თუ საჭირო გახდა, იჩხუბებს კიდეც. ერთი სიტყვით, მებრძოლი მორაგბეების იმედი აქვს.

**— არცთუ კარგი მემკვიდრეობა ერგო ტრემულეს.**

— წინა მწვრთნელი, ალენ გაიარი, დროულად გაუშვეს. გუნდი, ფაქტობრივად, თავიდან არის შესაკოწიწებელი. გაიარი რომ დარჩენილიყო, მერწმუნეთ, სათადარიგოებში ჩამამთავრებინებდა სეზონს. ჩემი უთამაშებლობის მიზეზი რომ ვკითხე, ასე მიპასუხა, არასარაგბო ქვეყნიდან ხარო. არადა, წინა ორი სეზონი სულ ძირითად შემადგენლობაში არ ვთამაშობდი?! მაგ კაცის ვერაფერი გავიგე. ერთხელ რესტორანში დავპატიჟე და თავი შორს დაიჭირა, მე შენ არ გათამაშებ და რესტორანში რომ წამოგყვე, ჩემი მხრიდან არასწორი საქციელი იქნებაო. რაღაც უცნაური პიროვნებაა.

ტრემულე რომ მოვიდა, თვითონ აღიარა, საკმაოდ რთული მემკვიდრეობა მერგო, მაგრამ იმდენად მაცდური წინადადებით მომმართეს, რომ უარი ვერ ვთქვი და დავთანხმდი ამ ავანტიურასო. ამბიციური მწვრთნელია. ჯერ ვერ მოვასწარი მასთან დაახლოვება. ისე, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები. საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში სათადარიგოებში გამამწესა და ამისთვის ბოდიში მომიხადა. თავისი გადაწყვეტილება კი ტაქტიკური ჩანაფიქრით ახსნა.

**— გაიარის და ტრუმელეს წვრთნის მეთოდები თუ განსხვავდება ერთმანეთისგან?**

— ძალიან. გაიარი ძირითადად კომბინაციებს და ტაქტიკურ მონახაზებს ამუშავებდა. ტრემულე კი მეტ დროს ფიზიკურ ვარჯიშებს უთმობს, მარტო რაგბი კი არა, კრივიც უნდა ისწავლოთო.

**— „კასტრის" ხელმძღვანელობას სამხრეთ აფრიკის ყოფილი მთავარი მწვრთნელის, ნიკ მალეტის მიწვევა სურდა, მაგრამ გუნდი ტრუმულეს ჩააბარეს. რატომ მოხდა ასე?**

— ვერაფერს გეტყვით. მალეტის მიწვევა მართლაც სურდათ, მაგრამ მოლაპარაკებები რა მიზეზით ჩაიშალა, არ ვიცი. მალეტის გარდა ახალზელანდიელი უეინ შელფორდის კანდიდატურაც განიხილებოდა. შელფორდი თავის დროზე „ოლ ბლექსის" ლიდერი იყო, თუმც ეს ვარიანტიც გამოირიცხა.

**— მოდი, ნაკრებზეც ვთქვათ. რას გვეტყვი საფრანგეთის „ა" ნაკრებთან გასამართ მატჩზე?**

— ვიყოთ ობიექტურები: დღეს საფრანგეთის თუნდაც „ა" ნაკრები ჩვენზე ძლიერია. მათი დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება.

**— ლევან, შენ ყველა წინაპირობა გაქვს საიმისოდ, რომ საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დაგასახელონ. რას ფიქრობ ამის თაობაზე?**

— ეს ჩემთვის წარმოუდგენელი რამ იქნება. ამ თემაზე საუბრისას ტანში ჟრუანტელი მივლის. გაზეთში გობეჯიშვილზე, კარტოზიასა და ნინო სალუქვაძეზე რომ ვკითხულობდი, ვოცნებობდი, მეც ვყოფილიყავი მათ გვერდზე. თუ საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დამასახელებენ, უბედნიერესი კაცი ვიქნები.

**ბაჩო სვანიძე**



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# როცა ერთი მეკარე სჯობს ორს

6 ნოემბერი

**ბოსტონი 1:0 ედმონტონი (0:0 0:0 0:0 1:0)**
1:0 როლსტონი 61(7)

**კოლუმბუსი 2:3 ვანკუვერი (1:0 0:2 1:1)**
1:0 კნუტსენი 12(1), 1:1 ბერტუცი 36(2), 1:2 ჟოვანოვსკი 37(5), 1:3 მორისონი 47(6), 2:3 პრონგერი 54(1)

**ტორონტო 4:2 ვაშინგტონი (2:0 0:2 2:0)**
1:0 იუშკევიჩი 7(3), 2:0 ველკი 8(1), 2:1 გონჩარი 28(4), 2:2 ბონდრა 29(11), 3:2 ჰოგლუნდი 53(5), 4:2 რენბერგი 59(4)

**აილენდერსი 3:0 ტამპა (0:0 1:0 2:0)**
1:0 პეკა 25(4), 2:0 ბეიტსი 53(5), 3:0 ისბისტერი 59(2)

**სენტ ლუისი 1:4 სან ხოსე (0:1 0:2 1:1)**
0:1 რიჩი 20(1), 0:2 მ. სმიტი 23(3), 0:3 დამფუსი 40(8), 1:3 იანგი 51(3), 1:4 ტორნტონი 53(5)

**ჩიკაგო 2:1 ფილადელფია (1:1 1:0 0:0)**
0:1 პრიმო 5(1), 1:1 ამონტე 16(5), 2:1 ჟამნოვი 30(7)

**მონრეალი 1:1 კოლორადო (0:0 1:0 0:1 0:0)**
1:0 პერო 23(6), 1:1 უილსი 47(4)

**რეინჯერსი 3:1 მინესოტა (1:0 1:0 1:1)**
1:0 ლინდროსი 4(6), 2:0 მაკენა 38(1), 2:1 დიუპუი 52(1), 3:1 ფლერი 56(5)

**კაროლინა 2:2 პიტსბურგი (0:1 0:1 2:0 0:0)**
0:1 პრდინა 11(3), 0:2 რიშე 36(5), 1:2 უილსი 42(1), 2:2 ონილი 60(11)

ფილადელფიას ორი კარგი მეკარე ჰყავს, ჩიკაგოს კი ერთი, მაგრამ დღესდღეობით ეს ერთი სჯობს იმ ორს. „ქორების" სასტარტო მეკარემ ჟოსლენ ტიბომ როგორც დაიწყო ჩემპიონატი, ისევე აგრძელებს, ერთი წამითაც არ დაუთმია პოსტი სათადარიგოთათვის, ვინაიდან საამისო მიზეზი არ არსებობს. ჟოსლენი ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას და „ქორების" მოულოდნელი წინსვლაც ამან განაპირობა.

მორიგი მატჩი ფილადელფიასთან ერთობ მძიმე გამოდგა. მართალია, თამაშის ვრცელ ოქმში ვკითხულობთ, რომ ტიბოს 27 დარტყმის მოგერიება მოუხდა, რაც ჩვეულებრივი, ნორმალური ამბავია, მაგრამ მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა. ჰოდა, ამ დარტყმების მინიმუმ ნახევარი ისეთი იყო, უმეტეს შემთხვევაში გოლი რომ მოჰყვება ხოლმე. მხოლოდ ერთხელ ვერ უშველა გუნდს მეკარემ, მატჩის დასაწყისში, როცა მის წინაშე მოულოდნელად ორი ფილადელფიელი — კეტ პრიმო და მარკ რეკი — აღმოჩნდა. ამის შემდეგ ტიბოს აღარ დაუშვია შეცდომა. განსაკუთრებით მძიმე პირველი პერიოდი გამოდგა, როცა „მფრინავებმა" 14-ჯერ გამოსცადეს ტიბო. ასეთივე იყო მატჩის დასასრული. ბოლო წამებზე სტუმრებმა მთელი ძალით შეუტიეს. საუკეთესო შანსი ჰქონდა კიმ იუნსონს, მაგრამ ჟოსლენმა მეტოქეთა საუკეთესო მცველის დარტყმა მხრით მოიგერია.

ფილადელფიამ კი წინა კვირის ყოჩი ბრაიან ბუშე დაასვენა. მისი ადგილი რომან ჩეხმანეკმა დაიკავა. ჩეხმა მატჩი სათანადო დონეზე ჩაატარა და არც ერთ გოლში ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ ტიბოს მაინც ვერ შეედრებოდა. შედეგად ჩიკაგომ გააგრძელა იღბლიანი ასპარეზობა თავის ყინულზე (+6=3-0). ალექსეი ჟამნოვმა გოლს პასი დაამატა, ხოლო სტუმართა მარცხს კიდევ ერთი მათთვის სამწუხარო ამბავი დაერთო, ლიდერი ჯერემი რენიკი გამოაკლდათ მხრის ტრავმის გამო.

წინა ორ მატჩში სან ხოსემ მასზე დაბლა მყოფ გუნდებს მოუგო, მაგრამ ამჯერად „ზვიგენებს" თვით სენტ ლუისი მასპინძლობდა. ასე რომ, ზედიზედ მეხუთე მოგება გაცილებით მნიშვნელოვანი გახლდათ.

მასპინძელთათვის საბედისწერო პირველი და მეორე პერიოდის ბოლო წუთები გამოდგა. ჯერ იყო და მე-20 წუთზე მაიკ რიჩმა იხეირა დამატებაზე, ხოლო მეორე მესამედის დასრულებამდე 1,9 წამით ადრე ვენსან დამფუსმა ანგარიში 3:0 გახადა და საბოლოოდ გატეხა სენტ ლუისი. კიდევ ერთი გოლის ავტორმა მარკ სმიტმა კი ნამატჩევს აღნიშნა, ესოდენ ძლიერმა მეტოქემ მხოლოდ ერთი გოლი რომ გაგვიტანა, ამით სან ხოსეს რეალური ძალა გამოჩნდაო.

აილენდერსის მოგებები აღარავის უკვირს, თუმც ამჯერად ტამპასთან დიდი ძალისხმევა დასჭირდა და ის, რომ საბოლოო ანგარიში ასეთი დამაჯერებელია, კრის ოსგუდის დამსახურებაა. თავის ყოფილ კლუბთან შედარებით სუსტი თამაშის შემდეგ ოქტომბრის ლაურეატმა უკლებლივ ყველა, 19 დარტყმა მოიგერია და სეზონში მე-3 შატაუტი მიითვალა. მატჩის ბედი საბოლოოდ მხოლოდ 59-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც ბრედ ისბისტერმა ტამპას დაცარიელებული კარი დალაშქრა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წამით ადრე ეს თავად ოსგუდსაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული შაიბა ძელს მოხვდა.

სამშაბათამდე კოლორადო ერთადერთი გუნდი იყო, რომელსაც წლეულს ოვერტაიმი არ ეთამაშა. სადღეისოდ ჩემპიონს ისე უჭირს, რომ ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. ასე რომ, დენვერელებს სამი მარცხის შემდეგ ფრეც უნდა აკმაყოფილებდეთ. მით უმეტეს, რომ 46-ე წუთამდე აგებდნენ და მორიგი შერცხვენისგან ისინი დებიუტანტმა ბრაიან უილსიმ იხსნა.

ბოსტონისთვის კი ოვერტაიმის თამაში ჩვეული რამაა. „დათვების" ლამის ყველა მატჩი ნაკლებშედეგიანი და დაძაბული გამოდის. ამიტომაც ხშირად ხდება დამატებითი დრო საჭირო. 15 ჩატარებული შეხვედრიდან 8 ოვერტაიმში გადავიდა, თუმც ამჯერად კმაყოფილები დარჩნენ „დათვები".

60-წუთიანი უგოლო ბრძოლის შემდეგ მასპინძელთა პირველივე შეტევა შედეგიანი აღმოჩნდა —„ ბრაიან როლსტონმა ზუსტად გამოზომილი დარტყმით ედმონტონის მეკარე ტომი სალოს შანსი არ დაუტოვა.

ტეო ფლერიმ მისთვის ისედაც გამორჩეული საღამო კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა. მინესოტასთან მატჩის შემდეგ ფლერი საგანგებო ვერცხლის ყვანჯით დააჯილდოვეს ნჰლ-ში 1 000 ქულის მოგროვების გამო. იუბილარმაც აჩვენა, რომ მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს და გოლით და პასით გადამწყვეტი წვლილი შეიტანა გუნდის მოგებაში.

იარომირ იაგრისა და ადამ ოუთსის არყოფნაში პეტერ ბონდრას მორიგმა გოლმაც ვერ უშველა ვაშინგტონს. იაგრი კი, როგორც გაირკვა, მინიმუმ ორ კვირას გამოტოვებს მუხლის ტრავმის გამო.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ნიუ იორკიდან

**რეინჯერსი — მინესოტა. მეკარე მენი ფერნანდესმა და ფილიპ კუბამ (№17) რეინჯერსელების, რადეკ დვორჟაკის (№20) და ანდრეას იოჰანსონის შეტევა მოიგერიეს**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ტორონტო | 15 | 9 | 1 | 1 | 4 | 47:35 | 20 |
| ბოსტონი | 14 | 6 | 3 | 2 | 3 | 31:27 | 17 |
| ოტავა | 14 | 7 | 1 | 0 | 6 | 46:36 | 15 |
| ბუფალო | 14 | 5 | 1 | 1 | 7 | 32:37 | 12 |
| მონრეალი | 14 | 5 | 2 | 0 | 7 | 30:39 | 12 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| აილენდერსი | 14 | 11 | 1 | 1 | 1 | 45:26 | 24 |
| რეინჯერსი | 16 | 8 | 1 | 0 | 7 | 41:49 | 17 |
| ფილადელფია | 13 | 6 | 3 | 0 | 4 | 42:32 | 15 |
| პიტსბურგი | 15 | 6 | 2 | 1 | 6 | 32:38 | 15 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 6 | 0 | 1 | 4 | 33:31 | 13 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 17 | 8 | 1 | 2 | 6 | 42:45 | 19 |
| ვაშინგტონი | 14 | 5 | 2 | 0 | 7 | 34:41 | 12 |
| ტამპა | 13 | 4 | 1 | 1 | 7 | 26:35 | 10 |
| ატლანტა | 13 | 3 | 1 | 2 | 7 | 27:46 | 9 |
| ფლორიდა | 14 | 3 | 2 | 1 | 8 | 30:43 | 9 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 15 | 12 | 0 | 0 | 3 | 52:38 | 24 |
| ჩიკაგო | 17 | 10 | 3 | 0 | 4 | 55:43 | 23 |
| სენტ ლუისი | 13 | 7 | 3 | 0 | 3 | 40:34 | 17 |
| ნეშვილი | 15 | 5 | 2 | 0 | 8 | 37:42 | 12 |
| კოლუმბუსი | 14 | 2 | 4 | 0 | 8 | 24:43 | 8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 14 | 10 | 0 | 2 | 2 | 41:28 | 22 |
| ედმონტონი | 16 | 10 | 1 | 0 | 5 | 47:34 | 21 |
| კოლორადო | 16 | 7 | 1 | 0 | 8 | 37:38 | 15 |
| მინესოტა | 13 | 5 | 3 | 1 | 4 | 38:43 | 14 |
| ვანკუვერი | 15 | 5 | 1 | 0 | 9 | 42:46 | 11 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 15 | 8 | 3 | 1 | 3 | 44:35 | 20 |
| ფინიქსი | 14 | 5 | 3 | 2 | 4 | 28:33 | 15 |
| დალასი | 15 | 5 | 2 | 3 | 5 | 34:39 | 15 |
| ანაჰაიმი | 14 | 6 | 1 | 0 | 7 | 35:37 | 13 |
| ლოს ანჯელესი | 15 | 4 | 1 | 2 | 8 | 38:40 | 11 |




გია თორთლაძე ასოციაციის დროშით



აპა შერპა და ანგ შერინგ შერპა

# მთამსვლელებმა მსოფლიო თბილისში გაინაწილეს

**დედამიწის** უმაღლესი მწვერვალის დამლაშქრავთ ალბათ უფიქრიათ, ნეტა ევერესტზე ამსვლელები შეგვყარა და ერთმანეთი გაგვაცნოო. და თუ მათ ამგვარი ფიქრი თუ ოცნება აქვთ, იგი აუხდებათ 2003 წლის გაზაფხულზე, როცა ევერესტზე პირველასვლის ოქროს იუბილეს — 50 წლისთავს ნეპალში იზეიმებენ. მანამდე კი ერთად თავმოყრილი ევერესტის დამლაშქრავი თოთხმეტი ქვეყნის ოცი მთამსვლელი შაბათს, 3 ნოემბერს თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველში" გამართულ პრეზენტაციაზე ვიხილეთ, ოღონდ მთამსვლელები ეკრანზე კი არა, სცენაზე ასულნი „ცოცხლად" ვნახეთ. ისინი აქ არც მთამსვლელებზე გადაღებული რაიმე ფილმის პრეზენტაციაზე შეყრილან. „რუსთაველის" სცენის დამპყრობნი მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებლები აღმოჩნდნენ. ესენი იყვნენ: დედამიწის უმაღლესი მწვერვალის რეკორდსმენი, მისი თერთმეტჯერ დამლაშქრავი შერპი მთამსვლელი აპა შერპა, მისი თანამემამულე, მთამსვლელთა ექსპედიციების ორგანიზატორი „აზია ტრეკინგის" მეთაური, თვითმფრინავების, შვეულმფრენების, სასტუმროებისა და კიდევ ბევრი სხვა რამის მფლობელი ანგ შერინგი, გაშერბრუმის რეკორდსმენი, ამ რვაათასიანზე ექსპრესივით საოცრად სწრაფად, 11 საათში ამქროლ-ჩამომქროლი დენის ურუბკო (ყაზახეთი), ყველაზე მეტი, 60-მდე უმაღლესი სირთულის მარშრუტის გამვლელი ალექსანდრ რუჩკინი; რვაათასიანების დამლაშქრავი ქალები, ბელარუსი ირინა ვიალენკოვა და ყირგიზეთის წარმომადგენელი ელენა კალაშნიკოვა, ერთმანეთზე ძლიერი და მსოფლიოში გამორჩეული მთამსვლელები ოლეგ კლუნინი (რუსეთი), სერგეი ბერშოვი (უკრაინა), დიმიტრი გრეკოვი (ყირგიზეთი), ილია ტუხვატულინი (უზბეკეთი)... იქვე იყვნენ დაღესტნელი პეტრე ლეონოვი, ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები ყაზბეგ ხამიცაევი, ვლადიმერ რუბაევი, ოლეგ გონჩარენკო. აქვე იყვნენ მასპინძლებიც, ევერესტის დამლაშქრავნი გია თორთლაძე და მამუკა ციხისელი.

— შემთხვევითი არ არის, რომ ეს ასოციაცია სწორედ საქართველოში დაფუძნდა. თქვენ გაქვთ უზარმაზარი კულტურა, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ახლა დავათვალიერეთ მცხეთა და მისი ძეგლები. ამასთან, საქართველო არის მთამსვლელებით განთქმული ქვეყანა და საბჭოთა ალპინიზმის სამშობლოც — თქვა ალექსანდრ რუჩკინმა.

კარგია, რომ კი არ ვითიშებით, არამედ ამ ასოციაციით ვერთიანდებით, — აღტაცებას ვერ ფარავს სერგეი ბერშოვი.

ასოციაციის წყალობით ბევრი რამ პირველად განხორციელდება მსოფლიოში, — დაიქადნა ირინა ვიალენკოვამ და ამგვარი საქმის წასახალისებლად გია თორთლაძის იდეითა და გიორგი მიშირელის მიერ დამზადებული ოქროს პრიზი — მთამსვლელთა კარაბინი თავად ავტორმა გვიჩვენა. ამ პრიზს სწორედ ასე ეწოდა „მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის ოქროს კარაბინი". იგი გაისად გადაეცემა ალპინისტთა იმ გუნდს, რომელიც ურთულეს ასვლას განახორციელებს.




ოქროს კარაბინი

ერთი სიტყვით, ასოციაციის დაბადებას მთამსვლელები შეხვდნენ დიდი იმედებითა და გეგმებით, რასაც ისინი საკუთარი დროშის ქვეშ განახორციელებენ.

მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის დაფუძნებასთან დაკავშირებულ პრეზენტაციაზე გაცხადდა, რომ ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა თბილისელი მთამსვლელი გია თორთლაძე. მეტიც — ეს ორგანიზაცია თბილისში დაფუძნდა და ბინაც აქვე დაიდო. ამგვარად, ეს ასოციაცია გახდა პირველი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოში დაიდო ბინა. ამგვარად, ნავსი გატყდა და თუ აქამდე, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს წარმომადგენლები საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში რაიმე ხელმძღვანელ პოსტზე წარმოდგენილნი არ ყოფილან, ახლა თბილისელი გია თორთლაძე სულაც მისი პრეზიდენტია.

ასოციაციის დაფუძნებას წერილობით მიესალმა საქართველოს პარლამენტის ექს-თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

— ბატონი ზურაბ ჟვანია მთამსვლელთა დიდი მეგობარია — გვეუბნება გია თორთლაძე, ვისაც პრეზენტაციის შემდეგ ვესაუბრეთ — ის, რომ ჩვენი ასოციაციის დამფუძნებელ თავყრილობას ვუმასპინძლეთ, ამ საქმეში ლომის წილი სწორედ მან დაიდო. ამიტომაც იგი ასოციაციის საპატიო პრეზიდენტად ავირჩიეთ.

— მაგრამ გაუგებარია, რატომ დააფუძნეთ ეს ორგანიზაცია. ხომ არსებობს მთამსვლელთა საერთაშორისო ფედერაცია (უიაა), რომელიც ავსტრიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და იუგოსლავიის ეროვნულმა ფედერაციებმა ჯერ კიდევ 1932 წელს დააარსეს? ამასთან, ეს ორგანიზაცია საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმაც ცნო.

— უიაა, როგორც თავად ამბობთ, ეროვნულმა ფედერაციებმა დააარსეს, ჩვენი ორგანიზაცია კი ცალკეულმა პიროვნებებმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მთამსვლელებმა. უიაა მთამსვლელობის გარდა ბევრ სხვა რამეზეც ზრუნავს, ჩვენი ასოციაციას მთავარი საფიქრალი კი წმინდა წყლის სპორტული მხარე იქნება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ასოციაციის დაფუძნებას წერილობით მიესალმა უიაა-ს პრეზიდენტი, ინგლისელი იანნაკტაუ დევისი.

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, თქვენს ასოციაციაში ბევრი ისურვებს გაერთიანებას?**

— ამგვარი თანხმობა უკვე განაცხადა 39 ქვეყნის 58 მთამსვლელმა. მათ დასტური წერილობით გამოთქვეს და ცხადია, გაწევრიანდნენ კიდეც. ესენი არიან: ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, არგენტინის, გერმანიის, იაპონიის, ინდოეთის, იტალიის, სამხრეთ კორეისა და სხვა ქვეყნების ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელები, მათ შორის ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალებზე ამსვლელი ხუთი მთამსვლელი. ბევრი მათგანი აპირებდა თბილისში, ჩვენი ასოციაციის პრეზენტაციაზე ჩამოსვლას, მაგრამ ბოლო მომენტში სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ჩამოვიდნენ — ზოგი ექსპედიციაშია, ზოგი საქართველოს ბოლო დღეების პოლიტიკურმა ტორტმანმა შეაფიქრიანა, ესპანელებს კი, აბა, აქ რა ჩამოიყვანთ, როცა ორი მათი თანამემამულე ბიზნესმენი თბილისში უგზო-უკვლოდ გაიტაცეს...

**— ვისი იდეით დაარსდა თქვენი ასოციაცია?**

— იდეა მე დამებადა და პირველად თოთხმეტივე რვაათასიანზე ამსვლელ პოლონელ კშიშტოფ ვიელიცკის გავუზიარე. მერე ანგ შერინგს და იაპონელ კენ ნოგურსაც, სამივეს ჭკუაში დაუჯდა ეს იდეა და საქმეც დაიძრა.

**— თქვენს ასოციაციაში სხვა ხელმძღვანელ პოსტებზე ვინ აირჩიეთ?**

— ოთხი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შემოვიღეთ. აზიას ანგ შერინგი მიხედავს, ევროპას — კშიშტოფ ვიელიცკი, ორივე ამერიკას — მექსიკელი კარლოს კარსოლიო, ვინც ასევე თოთხმეტივე რვაათასიანის დამლაშქრავია. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ევერესტზე ორი ექსპედიციის მეთაურსა და მასზე ამსვლელ ყაზბეგ ხამიცაევს ჩავაბარეთ, საინფორმაციო ცენტრის მეთაურობა კი ასევე ევერესტის დამლაშქრავსა და სხვა რთული მარშრუტების გამვლელს, უზბეკეთის წარმომადგენელ ილია ტუხვატულინს ვანდეთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



ხუთი რგოლი

# ათენელთა შთამბეჭდავი ციფრები

**ათენის** ოლიმპიურ თამაშებამდე ჯერ კიდევ კარგა ხნის ლოდინია საჭირო, მაგრამ გარკვეული შთაბეჭდილების შესაქმნელად XXVIII ოლიმპიადის ორგანიზატორების მხრიდან ერთგვარი მონაცემები მაინც არსებობს. ამ მხრივ შთამბეჭდავად გამოიყურება სპორტსმენთა ის არნახული რაოდენობა, რომელსაც საბერძნეთის დედაქალაქში მოელიან. წინასწარი ვარაუდით, ათენი 16 ათას ოლიმპიელს უმასპინძლებს, ასპარეზობებს კი, როგორც ფიქრობენ, 15 ათასი ჟურნალისტი გააშუქებს. რაც შეეხება ოლიმპიადის მუდმივად მომსახურე მუშაკთა რაოდენობას, ისინი დაახლოებით 3 ათასი იქნება. უსაფრთხოებისა და სხვა საჭიროებების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია 50 ათასამდე მოხელის მიზიდვა. ისე კი, ოლიმპიური თამაშების წარსამართავად დასაქმებულ პირთა რაოდენობა, დაცვის სამსახურის თანამშრომლებს თუ არ ჩავთვლით, 100 ათასზე მეტია.

# ოლიმპიური სიმშვიდედარღვეულები

**გვინდა** თუ არა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშები ისტორიაში არაბი ტერორისტის ოსამა ბენ ლადენის სახელის გარეშე მაინც ვერ შევა. რომ არა მისი ქვეშევრდომების ვაშინგტონსა და ნიუ იორკში ნამოქმედარი, 2002 წლის თეთრი ოლიმპიადა ბევრად ხალისიანი იქნებოდა. ამ ისტერიულ ვითარებაში, როდესაც ყველა მისი ჯეროვნად გამართვის შესაძლებლობაზე საუბრობს, ძნელია უსაფრთხოების საკითხს გვერდი აუარო. თუ რამდენად აქტუალურია ეს საკითხი, ამაზე გერმანელ და ნორვეგიელი სპორტის მოხელეთა გადაწყვეტილებებიც მეტყველებს. სკანდინაველებმაც და არიელებმაც საკუთარ სპორტსმენებს თავისუფალი არჩევნის უფლება მისცეს. კერძოდ, სათხილამურო რბოლაში ნორვეგიის ნაკრების წევრებს თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ, იასპარეზონ თუ არა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. უარის თქმის შემთხვევაში მათ არანაირი ჯარიმა არ დაეკისრებათ. ამის შესახებ განაცხადა, ნორვეგიის სათხილამურო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელმა სინდრე ბერგანმა.

„ყველა ნორვეგიელი მოთხილამურე აქტიურად ემზადება ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობისთვის. მიუხედავად ამისა, ვხვდები, რომ საკუთარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შესაძლოა რომელიმე მათგანმა თამაშებში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს. ამ შემთხვევაში, ნორვეგიის სათხილამურო სპორტის ფედერაცია სპორტსმენთა მიმართ არანაირი უარყოფითი ზომების მიღებას არ აპირებს" — თანამემამულე სპორტსმენებს ხელ-ფეხს უხსნის ბერგანი.

ჯერჯერობით საკუთარი უსაფრთხოებით შეშფოთებულან მხოლოდ ჰილდე პედერსენი, კრისტენ შელდალი და ერლინგ იევნე. ისინი ნაკრების სხვა წევრებთან ერთად შეკრებას იტალიაში გადიან.

ნორვეგიელებისგან განსხვავებით, გერმანელები მხოლოდ ცალკეული სახეობის წარმომადგენელთათვის ამგვარი უფლების მინიჭებით არ შემოფარგლულა.

„ნებისმიერ გერმანელ სპორტსმენს შეუძლია საკუთრივ გადაწყვიტოს, წავიდეს თუ არა სოლტ ლეიკ სიტიში. ნება მათია" — განაცხადა გერმანიის ეოკ-ის თავმჯდომარე ვოლტერ ტროგერმა.

ტროგერს მხარს უბამს გერმანიის სათხილამურო კავშირის პრეზიდენტი ფრიც ვაგნერბერგერიც: „ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ უსაფრთხოების სრული გარანტიის მიღება შეუძლებელია. არავის ვაძალებთ სოლტ ლეიკ სიტიში გამგზავრებას. ათლეტთა ნებისმიერი გადაწყვეტილება მისაღებია".

ასეთი განცხადებების ფონზე გერმანელი სპორტის მამები იმავდროულად არწმუნებენ ათლეტებს, რომ 2002 წლის ოლიმპიური თამაშები ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე დაცული იქნება.

ქართველთათვის კარგად ნაცნობი სოკ-ის ვიცე პრეზიდენტი თომას ბახი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს სტუმრობდა, აცხადებს, რომ თებერვლის უმთავრეს ასპარეზობებზე უსაფრთხოების უპრეცენდენტო ზომებს ვიხილავთ.

„სოლტ ლეიკ სიტის თამაშები ყოველმხრივ დაცული იქნება. ოლიმპიადაზე უარის თქმას მონაწილეობა და იქ ისევ გამკაცრებული მეთვალყურეობა სჯობს" — არჩევანს აკეთებს ბახი.

მართლაც, ამერიკელების მიერ შემუშავებული თავდაცვითი სისტემა იმდენადაა გამკაცრებული, რომ ოლიმპიადის მსვლელობისას მათი მხრიდან ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ შესაძლოა ბევრის გულისწყრომაც გამოიწვიოს. დამატებით უსაფრთხოების გამკაცრებული ნორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აჯობებს, რომ სპორტსმენები აქედანვე შეეგუონ მოსალოდნელ უსიამოვნო პროცედურებს, რადგან ცნობილია, რომ ამერიკელები ზედამხედველობას გაამკაცრებენ.

სხვათა შორის, შემუშავებული წესების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, რვა თვიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის იმ პირს, რომელსაც ოლიმპიური ბაზების ტერიტორიაზე სპირტიანი სასმლის მიღებაში შეამჩნევენ. გარდა ამისა, აკრძალულია სარბიელზე ხელბარგით შესვლა და კიდევ ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ასე რომ, ფაქტია, 11 სექტემბრის მოვლენებმა ოლიმპიური სიმშვიდე დაარღვია.

# პრინცი საოლიმპიადოდ ბობს კაზმავს

**როგორც** ბევრი დიდგვაროვანი, მონაკოს პრინცი ალბერიც სპორტითაა გატაცებული. თუმცა, იქ აგრერიგად პოპულარულ აფროსნობას, ჩოგბურთს, ცხენოსნობასა თუ გოლფს პრინცმა ბობსლეი ამჯობინა. 43 წლის ალბერისთვის ბობსლეი იმდენად სერიოზულ გატაცებად იქცა, რომ აგერ უკვე ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა. მართალია, წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ, ეტყობა, იგი კუბერტენისეული შეგონებით მოქმედებს: „მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება".

ახლა მონაკოს პრინცი სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადისთვის გერმანულ ვინტერბერგში ემზადება. ოთხკაციან ეკიპაჟს, რომელსაც სათავეში პრინცი ალბერი უდგას, მიზნად თეთრ ოლიმპიადაზე მოსახვედრი საკვალიფიკაციო ნორმატივის შესრულება დაუსახავს. მონაკოელებს გამოცდის ჩაბარება იქვე, ვინტერბერგის ტრასაზე მოუწევთ.

„ვინტერბერგის გადამწყვეტ ასპარეზობამდე ჯერ კალგარიში მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოვალთ. ამის შემდეგ ვინტერბერგის ჯერიც დადგება, მერე კი ავსტრიულ იგლსეშიც ვცდით ძალას" — ჟურნალისტებს თავისი გეგმები გააცნო ალბერმა.

ისე კი, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მონაკოელთა კვარტეტმა სოლტ ლეიკ სიტიში რამე წარმატებას მიაღწიოს. ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზე ოთხკაციანი ბობით ასპარეზობისას მათ 28-ე ადგილი დაიკავეს.

**გიგა გურასაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ანთალია (თურქეთი)

# აი, ქალი ვინც პროფილი შეიცვალა, ძალოსნობა შეიყვარა

**თავიდანვე** ვიტყვით, რომ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დღემ მსოფლიოს რეკორდის გარეშე ჩაიარა. პაექრობები კი ჩვეული რიტმით წარიმართა. იყო სიხარულიც და იმედგაცრუებაც.

წინა დღის მსგავსად, 69 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ჩემპიონობა ბულგარელმა იზეიმა. გალაბინ ბოევსკის მიერ ატაცსა და აკვრაში შესაბამისად დაძლეული 150 და 190 კილოგრამი საკმარისი აღმოჩნდა უახლოესი მდევრის, ბერძენი გიორგიოს ცელილისის ხუთი კილოგრამით ჩამოსატოვებლად. მართალია, ატაცში ორივე მათგანმა ერთი და იგივე წონა დაძლია, მაგრამ როდესაც ჯერი აკვრაზე მიდგა, სწორედ აქ მოიკოჭლა ბერძენმა ძალოსანმა. ერთმხრივ კი ამ უკანასკნელს გაუმართლა კიდეც: რომ არა მესამე ადგილოსან მასპინძელ რეიჰან არაბაჯიოღლუზე ნაკლები სხეულის წონა, მეორეობაც სანატრელი ექნებოდა, რადგან თურქმაც და ბერძენმაც ერთი და იგივე წონა — 335 კილოგრამი დაძლიეს.

ქალთა შორის 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველობა პოლონელ ალექსანდრა კლეინოვსკას ერგო. 19 წლის ევროპის ჩემპიონი ორი მოძრაობის ჯამში 215 კილოგრამს მოერია და ჩინელი ლიუ ბინგი და თანამემამულე მარიეტა გოტფრიდი მეორე-მესამე ადგილებზე განამწესა.

საინტერესოა, რომ ახალგამომცხვარი მსოფლიოს ჩემპიონი, ვიდრე შტანგას შეავლებდა ხელს, ცეკვებით ყოფილა გატაცებული.

„მე მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობდი და აკი მივაღწიე კიდეც საწადელს" — განაცხადა კლეინოვსკამ და იქვე დასძინა, რომ მისთვის ძალოსნობაც და ცეკვაც ერთი და იგივე ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

მსოფლიოს ჩემპიონატი კი კვლავაც იაპონელების, ჩრდილოელი კორეელებისა და ამერიკელების გარეშე მიმდინარეობს. ეს უკანასკნელნი მზად იყვნენ, ანთალიაში შვიდი ქალი და ოთხი ვაჟი სპორტსმენი გაეგზავნათ, მაგრამ ტერორისტთა პოტენციურმა სამიზნეებმა უსაფრთხოების მოტივით შეიკავეს თავი. შესაბამისად ნაკრების დაფინანსებისაგანაც ხელი აიღეს, თუმც ჯეკი ბერუბის შეჩერება შეუძლებელი გახდა. მან თავად მოიძია მგზავრობისთვის საჭირო ხარჯები და თურქეთს ეწვია.

„მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის პირველი დიდი ასპარეზობაა. არ მინდა, რაღაცით შეშინებული ვიყო. ბედს ვერსად გაექცევი. სავსებით შესაძლებელია, უბედურება შინაურ კედლებშიც მეწვიოს. ამისგან არავინაა დაზღვეული" — მსოფლიოს ჩემპიონატამდე აცხადებდა ბერუბი. უშიშარმა ამერიკელმა, პოლონელი კლეინოვსკასი არ იყოს, სანამ შტანგამდე მივიდოდა, ბევრი რამ მოსინჯა. თავდაპირველად სპორტული კარიერა ტანვარჯიშით დაიწყო. მერე ჭიდაობითაც დაინტერესდა და უნივერსიტეტის გუნდს შეუერთდა. ჭიდაობაში 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი სულაც ვიცე-ჩემპიონმა დატოვა ხალიჩა. მოგვიანებით, უფრო სწორად, ძალოსნობაში სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ტარა ნოტთან შეხვედრის შემდეგ, ძალოსნობითაც მოიწამლა და ვარჯიშსაც შეუდგა. პროფილის მესამედ შეცვლის მიუხედავად, წარმატებებს სპორტის ამ სახეობაშიც მიაღწია. მას ხელთ უპყრია ქალთა ძალოსნობაში 58 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში აშშ-ის ყველა რეკორდი. თურქეთსაც წარმატების იმედით ეწვია, თუმცა საერთო შედეგით დაგროვილი წონა (195) მხოლოდ მეხუთეობისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

**გიგა გურასაშვილი**

| ვაჟები. 69 კგ |
|---|
| 1. გალაბინ ბოევსკი (ბულგარეთი) 340 |
| 2. გიორგიოს ცელილისი (საბერძნეთი) 335 |
| 3. რეიჰან არაბაჯიოღლუ (თურქეთი) 335 |
| **ქალები. 58 კგ** |
| 1. ალექსანდრა კლეინოვსკა (პოლონეთი) 215 |
| 2. ლიუ ბინგი (ჩინეთი) 212,5 |
| 3. მარიეტა გოტფრიდი (პოლონეთი) 202,5 |




REUTERS ანთალია

ალექსანდრა კლეინოვსკა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ტელეფონით
ტელ: 60-21-23



**იყიდება**

ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა
ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე-5 სართული
**ტელ: 75 99 49**






## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეცამეტე ეტაპი (ავსტრალია)




REUTERS

მარკუს გრონჰოლმის „პეჟომ" ავსტრალიაში ყველაზე მაღლა იფრინა

# კვანძი ინგლისში გაიხსნება

**ავტორბოლის** ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, რთულ და ამასთან ფრიად საინტერესო სახეობაში წლევანდელი ჩემპიონატის ბოლოსწინა ეტაპამდე პირველობის შანსს ოთხი ეკიპაჟი ინარჩუნებდა. თუმცა, შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ სწორედ მწვანე კონტინენტის გზებზე გარკვეულიყო ნაადრევად გამარჯვებულის ვინაობა: თუ შოტლანდიელი კოლინ მაკრეი ავსტრალიაში წარმატებას მიაღწევდა და ამასთანავე მისი უმთავრესი მეტოქე ტომი მაკინენი ამჯერადაც, ზედიზედ მეხუთედ, უქულოდ დარჩებოდა, ვადამდე გაინაღდებდა მთელ დედამიწაზე საუკეთესო რალისტის მეორე ტიტულს. ფინელის ისედაც წყალშემდგარი პოზიცია კიდევ უფრო გაართულა წინა რბოლაში მომხდარმა ავარიამ, როცა მძიმედ დაშავდა მისი ერთგული თანამეწყვილე რისტო მანისენმაკი და მაკინენს ავსტრალიაში მეგზურობა ნაკლებად გამოცდილმა თანამემამულე ტიმო ჰანტუნენმა გაუწია. მაკრეი-მაკინენის გარდა პირველობის მეტ-ნაკლებ შანსს ინგლისელი რიჩარდ ბარნსი და ესპანელი კარლოს საინსიც ინარჩუნებდნენ.

სამხრეთ-დასავლეთ ავსტრალიის მტვრიან, ქვალორღიან გზებზე ეკიპაჟებს თითქმის 1400 კილომეტრი უნდა გაევლოთ. აქედან 396,8 კილომეტრი 21 ჩქაროსნულ მონაკვეთზე მოდიოდა. თავიდანვე პრობლემები შეექმნათ ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტებს — პირველი ჩასათვლელი უბნის შემდეგ მაკრეი მე-14 იყო, მაკინენი — სამი ადგილით უკან. თავისი ისედაც მიზერული საჩემპიონო შანსი დასაწყისშივე გაუშვა ხელიდან „მატადორმა" საინსმა — საგზაო ბოძთან შეჯახების შემდეგ მის „ფორდს" უკანა მარჯვენა შეკიდულობა მოემტვრა, რის გამოც ვეტერანმა იმდენი დრო დაკარგა, რომ დასკვნით რბოლაში მესამე ადგილზეღა თუ იოცნებებს. აქვე გაცნობებთ, რომ ყველაზე დიდი მარცხი ფრანსუა დელაკურსა და დანიელ გრატალუს შეემთხვა. ფრანგებს თავიანთი „ფორდი" ერთ-ერთ რთულ მოსახვევში ისე მოუსრიალდათ, რომ საშინელი ძალით მიეხეთქა გზისპირა ხეს, შედეგად შტურმანს ნეკნები და ლავიწის ძვალი გაუტყდა.

პირველი დღის შემდეგ შარშანდელი ჩემპიონების — მარკუს გრონჰოლმისა და ტიმო რაუტიაინენის „პეჟო" დაწინაურდა. ფინელთა ეკიპაჟმა სამდღიანი მარათონი ჩინებულად, პრაქტიკულად უშეცდომოდ წარმართა, ყველაზე მეტი — შვიდი სპეცმონაკვეთი მოიგო და ბოლომდე აღარ დაუთმია უპირატესობა. მეორე ადგილზე გასული ბარნსი და რობერტ რიდი გამარჯვებულებს ძალიან ბევრით, მთელი 40 წამით ჩამორჩნენ. თუმცა ბრიტანული წყვილი ამ ექვსი ქულის წყალობით ლიდერებს წამოეწია და ჩინებული საჩემპიონო შანსიც გაუჩნდა, რადგან მეტოქეები ავსტრალიაში მცირედით დაკმაყოფილდნენ.

ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ რიგით 23-ე ჩემპიონატის დასკვნითი რბოლა 23-25 ნოემბერს ბარნსის „ტერიტორიაზე", ინგლისში ჩატარდება.

**გია ახალაძე**

| რბოლის შედეგები | |
|---|---|
| 1. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3სთ; 17.01,3 |
| 2. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ) | ჩამორჩა 40,4 |
| 3. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) | 1.20,1 |
| 4. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 1.30,9 |
| 5. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 1.40,0 |
| 6. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) | 3.02,7 |

**საერთო ჩათვლა**

1. კოლინ მაკრეი 42 ქულა; 2. ტომი მაკინენი 41; 3. რიჩარდ ბარნსი 40; 4. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 33; 5. ჰარი როვანპერა 30; 6. მარკუს გრონჰოლმი 26; 7. დიდიე ორიოლი 23; 8. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 22; 9. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) 15; 10. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 11

## საქართველოს ჩემპიონატი რალიში. მეოთხე ეტაპი

# ორი ვიქტორის ტრიუმფი

**ეროვნული** ჩემპიონატის მორიგი ეტაპის ჩასატარებლად საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ სრულიად განსხვავებული მარშრუტი შეარჩია. მიზეზი ტრასების გადაკეტვის სირთულე გახლავთ. ჩქაროსნული მონაკვეთებისთვის ტრანსპორტით ნაკლებად დატვირთული გარდაბნისა და მარნეულის მიწიანი გზები გამოიყენეს. უხარისხო საფარმა რბოლის ისედაც მძიმე პირობები კიდევ უფრო გაართულა.

დისტანცია 300 კილომეტრი იყო, აქედან მესამედი — ჩასათვლელი. სტარტზე გამოსული რვა ეკიპაჟიდან ფინიშამდე მხოლოდ ოთხმა მიაღწია. დაახლოებით შუა გზაზე მარცხი შეემთხვათ ზურაბ ბეჟაშვილსა („ლადა-სამარა") და მამუკა მელაძეს („ჰონდა"). უსწორმასწორო მონაკვეთებზე მათ ისე დაუზიანდათ მანქანები, რომ ასპარეზობის გაგრძელება ველარ შეძლეს, ხოლო ზაზა ზოზიაშვილს („ლადა-სამარა") სიჩქარეთა კოლოფმა უმტყუნა. ყველაზე ბოლოს რბოლას გამოეთიშა ზურაბ ალნიაშვილი, რომელსაც „ლადა-სამარა" „რუსთავრინგზე" სამჯერ ამოუტრიალდა. საბედნიეროდ, ეკიპაჟი არ დაშავებულა. მათგან განსხვავებით, რამაზ მაისურაძემ („ვაზ-2107") გადაბმულობის სერიოზული დაზიანების მიუხედავად, მაინც მიაღწია ფინიშამდე, მეოთხე ადგილი დაიკავა და სამი ქულაც მიიღო.

წინა სამი ეტაპის მოგების შემდეგ ვიქტორ თოდაძე და ვიქტორ ბაგრამოვი („სუბარუ") 19 ქულით უსწრებდნენ უახლოეს მდევრებს. ასე რომ, მორიგი გამარჯვების შემთხვევაში ვადამდე გაინაღდებდნენ ჩემპიონის ტიტულს.

ლიდერებს მძაფრი კონკურენცია გაუწიეს ძმებმა — დავით და ზაზა იაშვილებმა. თავიდან ოჯახური წყვილის „ოპელი" დაწინაურდა. ოთხი სპეცუბნის გავლის შემდეგ იაშვილები 13 წამს უგებდნენ კონკურენტებს, მაგრამ ორმა ვიქტორმა ეს ჩამორჩენა უკვე მომდევნო რბოლაში არა მარტო გააბათილა, არამედ შვიდწამიან უპირატესობასაც მიაღწია. დარჩენილ უბნებზე მათ კიდევ უფრო გაზარდეს სხვაობა და საბოლოოდ სამი წუთით აჯობეს ძმებს. გამარჯვებულთა „სუბარუმ" 104-კილომეტრიანი ჩასათვლელი გზის დაძლევას ერთი საათი და 18 წუთი მოანდომა (საშუალო სიჩქარე 81,5 კმ/სთ). აღსანიშნავია ისიც, რომ მათ 14-დან ათ მონაკვეთზე საუკეთესო დრო აჩვენეს. მესამე ადგილი ირაკლი ჯაჯანაშვილმა და ლევან ლომაძემ („ლადა-სამარა") დაიკავეს.

ამრიგად, თოდაძე-ბაგრამოვის ეკიპაჟმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვებით 48 ქულა დააგროვა და ვადამდე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

დარჩენილი ორი ეტაპი მეორე და მესამე პრიზიორის ვინაობას გაარკვევს. იაშვილებს 18 ქულა აქვთ, შემდეგ ადგილებზე კი ალექსანდრე ჯანელიძე (17), ირაკლი ჯაჯანაშვილი (17), დავით წიკლაური (16) და ჯემალ გულარაშვილი (12) იმყოფებიან.

**ოლეგ ნაცვლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქველმოქმედოდ





HELLO

აჰ, რა არის ეს საქველმოქმედო შეხვედრები. რაგინდარა გამოჩენილ ხალხს არ ნახავ იქ. აი, შოტლანდიაში „დანჰილის" საქველმოქმედო ტურნირი მიმდინარეობს გოლფში და შემთვრალი ბორის ბეკერი რაღაცას უხსნის ცუდი ბიჭების შემსრულებელ მსახიობ სემუელ ჯექსონს. ლონდონში, კრისტის აუქციონის საქველმოქმედო საღამოზე კი კარგი ბიჭების შემსრულებელი მაიკლ დაგლასი სპორტულ მაგნატ ედი ჯორდანთან ჩაცუცქულა.



REUTERS

# ის ქალიც აქაა

ატაცში ახალ მსოფლიო რეკორდს ზეიმობს ცეროდენა თურქი ძალოსანი ჰალილ მუთლუ. ეს ამბავი ანთალიაში, დილექ საბანჯის სახელობის დარბაზში ხდება. დარბაზი, თავის დროზე, თურქ მილიარდერს, საქიფ საბანჯის აუშენებია და მისთვის თავისი ქალიშვილის სახელი დაურქმევია. არ გაგიკვირდეთ და ეს ქალბატონი, ჰალილისთვის რომ ხელი ჩაუჭიდია, თავად დილექ საბანჯი გახლავთ.

# მრთა მრთოზა

აი, როგორ არის საქმე ჰოკეის ეროვნული ლიგის კოსმოპოლიტურ გუნდებში: „ფილადელფია" — „ჩიკაგოს" მატჩისას, ფილადელფიელთა შვედი მცველი კიმ იუნსონი ჩიკაგოელთა ინგლისელ თავდამსხმელს, სტივ ტომასს შაიბის მიღებაში უშლის ხელს, ფილადელფიელთავე ჩეხი მეკარე რომან ჩეხმანეკი კი ცდილობს ყინულზე თავი შეიმაგროს.



# უდაბნოს თეთრი მზე

იორდანიის დედაქალაქ ამანის კიდეზე დაიწყო მსოფლიოს მორბენალთა ყველაზე მძიმე შეჯიბრი „დეზერთ ქაფ 2001". ამ ოთხმაგი მარათონის გზა უდაბნოში გადის, უწყვეტ რბენას მოითხოვს და 168 კილომეტრს მოიცავს. რბენა ვადირამში დაიწყო და ვარდისფერ ქალაქ პეტრაში უნდა დასრულდეს.




REUTERS



# მეჯიქი მოედანზე

არა, მეჯიქ ჯონსონი ენბიეიში არ დაბრუნებულა. ის ვეტერან ვარსკვლავთა გუნდთან ერთად გასულა მშობლიური ისტ ლანსინგის მოედანზე და მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ებრძვის. კალათბურთიდან ათი წლის წასული მეჯიქი, რომელსაც ამდენივე წლის წინ შიდსი აღმოაჩნდა, სისხლსავსე ცხოვრებას მისდევს, წამლად კი ე.წ. „შიდსის კოქტეილს" მიირთმევს, რომელმაც ბევრი ავადმყოფი აარიდა ამ დაავადების სიმძიმეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge